# ცისკარი.

1869

მაისი.

წელიწადი მეცამეტე

წოდება თხზულებათა:

1, წიგნი, მოწერილი აზიის ოსმალეთის სამზღვრით ფოცხოვის საბაჟოთგან. ივ. კერესელიძისა.

2, საქართველოს შეერთება რუსეთთან, თ. ლეონიდ ბარათაშვილისა.

3, ვარძიის მონასტერი (მესხეთში, ლექსი) ივ. კერესელიძისა.

4, ბიძიას. (ლექსი) ალ. აკოფოვისა.

5, გემდური (ლექსი) მისივე.

6, ჩემი ქმარი სხვას ირთავს [კომედია) იოსებ ელიოზოვისა.

7, ორიოდე სიტყვა ახალციხის უეზდის შკოლებზედ, აზიის ოსმალეთში მოგზაურისა.

8, სოფლის სცენა. კონსტანტინე ბერძენოვისა.

---

ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## წიგნი, მოწერილი აზიის ოსმალეთის სამზღვრით ფოცხოვის საბაჟოთგან.

### ძმაო იოთამ!

ამ წიგნსა გწერ, ფოცხოვის მდინარის კიდეზედ რომ საბაჟო არის აქედან, — ახლა, შენ რასაკვირველია იტყვი, ეს ფოცხოვი, რომელ ჯანდაყურისაკენ არის, რომ არ ვიციო. მაშ მე შენ გეტყვი: ქალაქ ახალციხითგან, ცხრა თუ ათს ვერს გასცილდები სამხრით — დასავლეთის მხრისაკენ, რომლის განელაში შეგხვდება ორი სოფელი, პირველად სუფლისი, მეორე ვალე, დაგხვდება მდინარე, რომელსაცა ეწოდება ფოცხოვი. ამ მდინარე ფოცხოვის გაღმა არის ოსმალეთის საბაჟო, გამოღმა ჩუენი; ერთის სიტყვით, ეს ფოცხოვი არის მიჯნა ორის სახელმწიფოსი. — რუსეთისა და ოსმალეთისა.

ჩემო იოთამ, როგორც გიცნობ, შენ ხომ ძალიან გიყვარს ოხუჯობა და ამ ოხუჯობაში სამასხარაო კომედიების აშენება, რომ იყო ახლა აქა, სადაც მე ახლა ვარ, ესე იგი ფოცხოვის საბაჟოზედ, ბევრს იცინებ, და დარწმუნებუ-

ლი ვარ, კარგს სამასხარაო კომედიასაც ალაშენებ, რასაკვირველია ამ მუშაკობაში მეც შეგეხმარებოდი. — ჩუენს საბაქოში, თუმცა არ არის მდიდრულად გაკეთებული ოთახები, მაგრამ რაც რამ კი აშენებულია ისეთის კარგის დაწყობილობით არის და ისეთის სისუფთავით, რომ მართლად და კაცს მოეწონება. აქედან მისავალზედ არის ჩუენი საბაქო. ჯერ წარმოიდგინე მწკრივად რუსული ოთახები ხუთი თუ ექვსი; თეთრად გალესილები, როგორც შიგნით, ისე გარეთგან; ამ შენობას წინა აქუს ჩინებული ბაღჩა, — რა ბაღჩა, თითქმის ბაღია, რომელიც გაუკეთებია და ძალიანაც ეტრფის ბოტანიკას ამ დამოჟნის ზედა-მხედველს რაფ. მაისუროვს. ეს არის დღევანდელი ჩუენი მასპინძელი, სიყმაწვილითვე ერთად ჩემთან შეზრდილი და ჰსწავლაში ნაამხანაგევი. წინ ამ ბაღჩას ჩამოუვლის, მოკამკამო მთის წყარო, ბაღჩის იქით მიქუხს მდინარე ფოცხოვი, მოწამე რამდენის სისხლის ღვრისა, გამარჯვებისა, თუ დაცემისა; ამ შენობას იქით გვერდზედ, კიდევ შენობაები არიან ხუთს, თუ ექვს ალაგს, თითო შენობაში, სამი და ოთხი ოთახია, იმაში დგანან საბაქოს მდაბალი ჩინები. იმათაც ყველას თავ თავისი ბაღჩა აქუსთ. ძალიან მამეწონა ამ საბაქოს ალაგ-მდებარეობა და უფრო კი მოწყობილობა. ეს ეს არის აპირობს ბუნება გამომხიარულებას, ხენი აპირებენ გამოფურთქნას, მდელონი ახაკერდებას, — ფრინველნიც როგორღაც იმ მოწყენის ხმით აღარა ჭიკჭიკებენ, როგორც აქამდინ, — ახლა

ესენიც მომხიარულებულან,—აპრილის სუნი მოხვედრიათ, ეს ამისათვის ჩემო იოთამ—ამ ფოცხოვზედ ხიდი არის გადებული, რომელზედაც გადიან გაღმა ოსმალეთში.—ახლა, ერთი გავიხედოთ და ვნახოთ, თათრების საბაჟო პირდაპირ: რა ვიცი, როგორ აღვიწერო, რომ კარგათ გაგაგებინო, იმ საბაჟოს შენობა,—უნდა მაგალითად გაჩვენო, ის ნაოხარი ნასახლარი, რომელიცა, რომ აგეილია სოფლის ლისისაკენ, ტფილისის ახლოს, და საბურთალოზედ შევხედრივართ, მწარედ მოღრეჯილ-მოღრეჯილ რაღაცა შენობასა, რომ გვიფიქრია, აი ახლა უნდა დაწვეს, არა ახლაო, სწორეთ იმას მიემზგავსება. იმ მშვენიერს ნოყიერს ალაგს, მოკლებულნი არიან თვით უკანასკნელს ასკილის ხესაც მკათათვს თვეში, ცუდათ არ დაუწვამს და მოუხრუკავს თავისის გახურებულის სხივებით, მაჰმადის მოსავებს, უიმისოთვე დამწვარს და მოხრაკულს ტვინსა! მაშ რა იქნება, რომ ერთი მტკაველი დ ჩრდილებული ალაგი არსად არა აქვსთ, რომ თავები შეაფარონ.

ჩემო იოთამ, დღეს მოველით აქა და ხვალ ვაპირებ ოსმალეთში გასვლას, საიდანაც ბევრს შესანიშნავს მოგწერ. ჩემთან არიან, ჩემი ძმები, ჩემი ერთგული მეგობრები, რომელნიცა მზათ არიან ყოველს შემთხვევაში, აღმოგიჩინონ მემწეობა, მხოლოდ კი შეეხებოდეს საქვეყნო საქმეს, საზოგადოს.—პირველი ამათგანი, ჩვენი საქართველოს დარბაისელი და ნამდვილი ქართველი, თ. ზურ. რატიევია,

ჩუენი ნიჭიერი ჩინოვნიკი დიმიტრი კვალიევი, თავიანთის მთარგმნელითა ერთის სომხით, რომელმაცა იცის ოსმალური ჩინებულად. სამსახურის მიზეზით არიან აქა და ბედზედ ერთად შევეყარენით. ამ ჩუენს დღევანდელს კრებაში ურევია ერთი ჩინებული ყმაწვილ კაცი, ახალციხის უეზდის მებატონეთაგანი, რომელმაცა ისეთი კეთილ-მობილობა აღმომიჩინა, რომ ერთს მინუტს არ მომშორებია ჩემს მოგზაურობაში, ეს არის მიხეილ მეფისოვი.

ჩემო იოთამ, კარგის და სარწმუნო მეგობრის შოვნა, ადვილი საქმე არ არის, ბედნიერია ის კაცი, ვისაცა შეხვდება ამ ქუეყნად, ამ წარმავალ და ყოველის ამაოებით სავსე სოფელში, ჭეშმარიტი მეგობარი; მიხეილ მეფისოვი, გაბედვით შეგვიძლიან ვთქუათ ერთი იმ მეგობართაგანი არის, რომლის შეხვედრა მრავალთაგან სანატრელია. განა კაცმა თუ არა დაწერა რა ლექსი, პოეტი არ არის? ჩემის აზრით, ვისაცა აქუს მაღალი გრძნობა, მაღალი სულის თვისება, იცის მეგობრობის მნიშვნელობა და მზად არის ყოველის კეთილისათვის, — იმან ლექსათ გამოსთქვას, არ გამოსთქვას თავისი შინაგანი ჰაზრი, სულ ერთია, ის მაინც პოეტია. ჩუენს მეფისოვს, არა დაუწერია არა, მაგრამ იქნება, ვინცა სწერდეს, იმაზედაც მაღლა იდგეს თავისის გულის გრძნობით. — მე ვიცი მწერალი, აი თითონ ჩუენს ცისკარშიაც იბეჭდება იმისი ლექსები, რომლის დასახელება საჭიროდ არა ვსახავთ, იმისათვის კაცი ისეა, რო-

გორც ბუზი დღეს გიცნობს ხვალ არა, დღეს მეგობარია შენი, ხვალ მტერი; დღეს კეთილს გიშერება, ხვალ საკლავად გდევს, — სწერს კი, — შენ კი იცი ჩემო იოთამ, მაგრამ არ გეტყვი. — მიხეილ მეფისოვი იტყვის და იმ სიტყვასაც მესწირავს თავსა, — ახლა როგორია გგონია ჩემო იოთამ, რომელი უფრო პოეტია, პირველი თუ მეორე? რასაკვირველია იტყვი მეორეო სწორეთ. მეორე — მაგრამ, ამაზედ მერე ვილაპარაკოთ. —

საღამო ხანია, ტირიფის ხეს ახლად გამოაქვს ფოთოლი, ქვეშა ვსხედვართ, ეს ზემო მოხსენებულნი პირნი, მწვანე მოლზედ, ძველებურად, მამაპაპურად, მოკეცილები, გვერდზედ წყარო მოჩქრიალებს, მეორეს გვერდზედ აუზია და შიგ თევზები ცელქობენ; ამ მრგვალ წრეში ერთი თარს უკრავს, მაგრამ ერთს ჩამოჰკრავს მზრაფს და ერთს გადაუსომს მოწითალო, ტანში მემაზიზინებლს მცხარერომსა, რომ ჩაახველებს კიდევ ჩამოჰკრავს, კიდევა სვამს და ჩივის რომ დუნია, რადგან წიწკა, ან წყლო არ ურევია, რომ თავის ქალოს მოხედეს, მაგრამ ღვთის მადლით ისე ვერ დალევს, რომ რამდენჯერმე ღრმად არ ამოახველოს. გაგვიჭირა საქმე — მეტი გზა არ არის, ისევე ჩვენ უნდა მოვკიდოთ კელი. . . .

შებინდდა, მოვიდა ვახშმის დრო და შემოუსხედით სტოლსა, გარეთ ათთხუთმეტის დღის მთოვარე გადმონათებს ამ ჩინებულს და მდიდარს ხეობასა, — ამ ღამის ლხინი სწორეთ დაქართული იყო, ბევრი სიცილი, ოხუჯობა, სიმღერა, რადა თავი შე-

გაწყინო ვინც კი რამ იცოდა, აღარა დაუზოგავს რა; ჩუენმა მასპინძელმა რაფიელ მაისურაძემა ხომ მეტის სიხარულით და სიამოვნებით სათარა გაგვიფსა. მეტად კარგათ დაგვხდა. ღვინო რომლის კუთხესა გსურთ, რომ აქ არ იყო,—ლიევანიის ღვინოც კი მოიპოვებოდა ჩუენ სტოლზედ, მაგრამ ერთი ჩუენი დასაწუნი ეს იყო, საქართუელოში, ისიც ძველს საქართუელოში (საათაპაგოში) სადაცა ქართუელები ვისხედით და ვილხენდით, ევროპიის საჭმლების სუნი ტრიალებდა!

მეორეს დღეს დილით გამოვიწვიეთ, ოსმალეთის დამოქნის ჩინოვნიკი, ჯერ პირუელად არ ინება გამოსვლა, მეორეთ კიდევა ვთხოვეთ და შემოეთვალა გამოვალო. ჩუენ ამ დროს ვისხედით ბაღჩაში ჩუენი საბაჟოს წინ, სკამებზედ და ქართუელების ჩუეულებით ვსაუბრობდით, რომელშიაც ახან და ხან გამოერეოდა ოხუჯური სიცილი. ბოლოს შევხედეთ, მოდიოდა ცხენით, მუნდირ ჩაცმული ოსმალოს ჩინოვნიკი და უკან მოსდევდნენ აგრეთვე მუნდირებით და ცხენებით ორნი კაცნი, ქურთები—ეს ჩინოვნიკი იყო უზბაში, ჩამოხტა ცხენითგან, მოვიდა და ვოენურად გამოჭიმულმა, შუბლზედ ხელი მიიდო. ამას ეცვა ერთი ძველი ადამიქმის გახეხილი მწვანე მაუდის სერთუკი, კილიტები და ვერცხლის გრეხილები ჰქონდა მკლავებზედ მოელებული. სერთუკის საყელო წითელი მაუდი ყოფილიყო ოდესმე და ახლა სიძველით, თავისი ნამდვილი ფერი დაეკარგა და რაღაც რაჲ უცნაური ფერი ჰქონდა, ფეხებზედ კალოშები ეცვა დეზებიანი, მიწას კი მტვერი ასდიოდა გვალვისაგან!—დაჯდა

პირველად დიდი მოკითხვა, სალამ ქალამი, მთარგმნელის ენით, ჩუენი თ. ზურ. რატიევისაგან, უნდა გენახა ჩემო იოთამ, რა განსხვავება იყო ამ ორთა ჩინოვნიკებთა შორის; ერთი იყო რუსეთისა, მეორე ოსმალეთისა: მეორე პირველთან მსახურათაც არა სჩანდა—პირველმა მეორეს უთავაზა ციგარა, იმან არ იცის ყოვლად უბედურმა, რომლის მხრითგან მოუკიდოს ცეცხლი, თავი ვერ მოსჭრა, იქითი მხარე ცეცხლს მიუშვირა. რა ვერ მოუკიდა, გატუსული შოიბრუნა მერე, პირში ჩაიდო და აჴლა მეორე წვერი მიუტრიალა ცეცხლსა, ვერ იქნა—ვერც ვასწალეთ, ვერიდებოდით არ ეთაკილა. იმდენი ჯიჯგნა, ბოლოს ციგარა დაიშალა, წახდა და გადააგდეს.—ეს გახლდათ უზბაში იმათებურად ოთხი ჩინის მექონე, მშტაბს-კაპიტანი.—ჩემო იოთამ, თუ სულ ამისთანა ჩინოვნიკები ჰყვანან სულთანს, ბედნიერი უნდა იყოს!—რაც ილაპარაკა, აქ იმაზედ ვერას ვიტყვი, ამისათჳს რომ ტყიდგან გამოვარდნილი ნადირი არ იტყვის იმას, რაც ამან რაღაცაები იბოდა; ბოლოს თავისი ჰსწავლა ამითაც დაამტკიცა, რომ ოსმალური წერა კითხვაც არ იცოდა. დღეს ერთად ვისადილეთ ჩუენ ყველანი ვილხენდით ის კი ჩუ-მათ პირ დაღებული გვიყურებდა; ხან ერთს შეჰყურებდა ხან მეორეს განკვირვებით: ღვინოს ხომ არა სმენ. მაგრამ ამან ხორციც არა ჭამა თქუენი ქრისტიანის დაკლული იქ-ნებაო. ჯერ ეს იკმარე ჩემო იოთამ შემდგომ წიგნებს მიიღებ აზიის ოსმალეთითგან.

ი. კ.

აპრილის **1**-სა დღესა, **1869** წ. ფოცხოვის საბაჟო.

## საქართველოს შეერთება რუსეთთან.

„იმერეთის მეფესთან — მოსწერა იმპერატორმა ალექსანდრემ კნორილნსა და ოდიშის ბრძანებელთან დადიანთან (მინგრელიისა), უნდა იქონიოთ მეგობრული მიწერ-მოწერა, მაგრამ ოსმალის სახელწიფოს მოხელენი, რომელნიც მანდ განაგებენ, არაფერს ეჭვში არ შეიყვანოთ.“

სამოქალაქოდ სამხედრო ნაწილები შეაერთა იმპერატორმა და ჩააბარა მათი განგებლობა, კნორინლსა. უბრძანა ყურადღება ჰქონოდა რუსის ჩინოვნიკებზედ რომლებიც კავკასიაზედ ემსახურებოდნენ რომ ყოფილყვნენ უანგარონი, პატიოსანნი მართლის მოყვარენი, მართლ მსაჯულნი, ტკბილ მოუბარნი, კარგნი მიმღებნი, თავდაბალნი და მზანი შეწევნისა, ვინც მართლმსაჯულობას ეძიებდა.

თჳსთ ახალთ ქვეშევრდომთ იმპერატორმა მისცა მანიფესტი ამ სიტყვებით:

„მფარველობა და უმაღლესი უფლება რუსეთის იმპერიისა საქართველოს სამეფოზედ, რუსეთის ხელმწიფეების მემწეობის მოვალეობისა 1796 წ. ალამაჰმადხან რომ თავისის

ძალით დაგეცათ, ნეტარხსენებულმან დიდმან ხელმწიფემ ი-
პერატრიცამ ეკატერინა ალექსეევნამ გამოგზავნა ნაწილი თჳსის
ჯარებისა. იმჯარმა მაშინდელმა წარმართებამ არამცთუ სა-
ქართველო მშვიდობით გადაარჩინა, არამედ იმისთანამ ბე-
დნიერმა დამორჩილებამ ყოვლის სამფლობო და ხალხითა და-
წყებულ კასპიის ზღვის ნაპირიდამ მდინარეთ მტკვრისა და
არაქსამდისინ განაშორათ ყოველი შიში და სიფრთხილე. და-
რჩა მხოლოდ ისა, რომ დაწესებულიყო მინაგანი წესი, თქვენის
საუკუნო კეთილ დღეობისათჳს: მაგრამ უეცარმა და მწრა-
ფლმა რუსეთის ჯარის გამობრუნებამ სპარსეთიდამ დაშალა
ყოველი თქვენი მართალი მოლოდინი. ყოველივე დართუ-
ლი შემდეგ უბედურებაები: დაცემა უსჯულოთა და უცხო
თესლის ხალხთა, აკლება ქალაქებისა და სოფლებისა, დაჭერა
და ტყვეთ წაყვანა მამათა, ძმათა, ცოლთა და შვილთა
თქვენთა და გარდა ამისა ბოლოს მეფის სახლის განხე-
თქილება და ხალხის გაყოფამ სხვა და სხვა მეფობას მა-
ძიებელთ მხარეს, შეჰყვანდით თქვენ შინაურს აღრეულო-
ბაშია. გარემოცული მარბეველი ხალხი მზათ იყვნენ დას-
ცემოდნენ თქვენს სამეფოსა და პასუხის უგებელათ გაეგ-
ლიჯათ დანარჩენი მისი. ამოდენის შეერთებულის უბედუ-
რებაებით არამცთუ ხალხი, თვით საქართველოს ხალხის
სახელიც კი, რომელიც თავისის ვაჟკაცობით განთქმული
იყო მთელს აზიაში — ამოიხოცებოდა მთელს ქვეყანაზედა.
ამ უბედურებაში მყოფმა, რამდენჯერმე ისურვეთ რუსეთის

საფარველი. ჩუენის ჯარების შემოსვლამ და ავარი ომარხანის დამარცხებამ, შეაყენა თქუენი უბედურება, უკუაყენა ყოველი მარბეველი, რომლითაც სავსე არის მთები კავკასიისა და რომელნიც ჰყოფენ სპარსეთსა და დიდს სომხეთსა. მემფოთარნი თქუენს შორის დაჩუმდნენ და თქუენ ერთპირად მოითხოვეთ რუსეთის განმგებლობა, ჩუენ რა აღვედით სრულიად რუსეთის ტახტზედ, ვიხილეთ საქართუელოს სამეფო შეერთებული რუსეთთანა და ამისათჳს იყო გამოცემული **18** იანვარს **1801** წ. საქვეყნოთ მანიფესტი. რომ შევედი თქუენის მდგომარეობის განხილვაში და ვნახე, რომ შემწეობა და ყოფნა რუსეთის ჯარებისა საქართუელოში ეხლაც კი იფარავს სისხლის ღვრისაგან ჩუენთა ერთ მორჯულეთა და სრულის დაღუპისაგან, რომლისათჳსაც ემზადებოდნენ გარეშე მოცულნი ურჯულო მარბეველნი ხალხნი, გვსურდა ჩვენ გამოგვეცადა კიდევ შესაძლისი იყო თუ არა დაგვედგინა უწინარესი მართებლობა თქუენში ჩვენს მფარველობასა ქვეშე და დაგვეცვათ მშვიდობით და უვნებელათა. მაგრამ დაახლოებულმა ამ საგნის გამოძიებამ ბოლოს დამარწმუნა, რომ სხუა და სხუა ნაწილი საქართუელოს ხალხისა, კაცობრიობით ჩვენთჳს ერთრიგ ძვირფასნი, მართლად შიშობს მტრობასა და დევნას მისსა, ვინც რომ მეფის ღირსების მაძიებელთაგანი, იშოვნის მას, რადგან რომ წინააღმდეგობა გამოცხადებული იყო. მარტოკა ეჭვი და შიში წინააღმდეგობისა დაბადავდა აუცილებლივ სისხლის ღვრასა. გარდა

ამისა წარსული განგებლობა თითონ მეფის ირაკლისაც, რომელმაც თავისის ძალით და ღირსებით დაიპყრო სრულებით თეისს უფლებაში, ვერ მოსპო ვერც შინაგანი და ვერც გარეშე უშიშროება. მაგიერ ამისა, ურიცხვს ბოროტებაში მიეცემით, რომელშიაც ეხლაც იმყოფებით და როგორც ყოველის მხრიდამა სჩანს, უთუოთ უნდა დაინთქათ მასში, უკეთუ შემძლებელი სიმართლის მქონე მკლავი არ შეგიმაგრებსთ ჩაცვიენისაგან. ამ მდგომარეობის ძალმა, თქვენმა საზოგადო ვრძნობამ და საქართველოს ხალხის ძახილმა ჩვენ დაგვიყოლია რომ არ დაგაგდოთ და არ მიგცეთ მსხვერპლად უბედურებასა, ხალხი ერთსარწმუნოებისანი, რომელთაც თვისი ხვედრი ჩააბარეს რუსეთის დიდსულობის მემწეობასა. აღძრული იმედი თქვენი ეხლა აღარ იქნება მოტყუებული. არა იმისათვს რომ ძალი შევიმატოთ, არც სარგებლობისათვ ა, არც იმისათვს რომ სამფლობელო გავავრცელოთ, რომელიც ისეც მთელს ქვეყანაზედ უდიდესი იმპერია არის, მივიღებთ თავსა ჩვენსა ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოს მართვისასა. მხოლოდ ღირსებამ, პატიოსნებამ და კაცობრიობამ დაგვდო სამღთო ვალად მივეღო ვედრება შეწუხებულთა და იმათის მწუხარების მოსასპობათ, დაგვედგინა საქართველოში მართებლობა, რომელსაც შესძლებოდა დაედგინა მართლ მსაჯულება, უშიშრად ყოფნა ყოველთა და ქონებათა მათთა და კანონიერი შემწეობა. ამისათვს ალვარჩიეთ ჩვენი ღენერალ-ლეიტენანტი კნორინგი

იყოს თქუენ შორის უმთავრეს მხედარ მთავრათ, მიეცით მას სრული დარიგება დააწესოს ჩუენის საკუთარის სახელით მართებლობა და მოიყვანოს აღსრულებაში ჩუენი წინა ოდგენილება, რომლის აღსასრულებელათაც თქუენგან ღირსეულად აღჩეულთ და სანდო პირთ შეერთეთ, ვიმედოვნებთ რომ მიენდობით იმ მმართებლობასა და პირველში მიიღებთ მშვიდობასა და უშიშრად ყოფნასა და შემდეგში კეთილდღეობასა და სავსებასა

ყოველი სახელმწიფო ხარჯი თქუენი ვბრძანეთ თქუენვე მოგახმაროთ, რაც რომ გადარჩეს მმართებლობის შენახვას, მოახმაროს აკლებული ქალაქებისა და სოფლების გამართვას. ყველას დარჩებათ თავიანთი საკუთარი ჩამომავლობითი ღირსება, თავის სარწმუნების წესის თავისუფალი აღსრულება და თავისის საკუთრების, სხუათაგან, ხელშეუხებლობა. ბატონიშვილებს დარჩებათ თავიანთი საუფლისწულო, გარდა იმათა, რომელნიც წასულნი არიან, და იმათაც შემოსავალი თავიანთის მამულებისა მიეცემათ ყოველთჳს სადაც უნდა იყვნენ, მხოლოდ კი ფიცის მოვალეობა აღასრულონ. ნაცვლად ამოდენის ჩუენის დიდსულობის მზრუნველობისა, რომ ყველანი ერთობ კარგათ იმყოფებოდეთ, ჩუენ თქუენგან ვითხოვთ, რომ დასამტკიცებელად თქუენდამი დადგენილის უფლებისა მიიღოთ დასარწმუნებელი ფიცი, იმ გუარად, როგორც ამასთან წამოგზავნილი არის. სამღვდელოთ, როგორც სასულიერო მწყემსთა, პირ-

ველათ უნდა უჩვენონ მაგალითი.

დაასრულე რა ესა, მსურს სცნათ ფასი კარგის მართებლობისა, დაემკვიდროს თქუენს შორის მშვიდობა, მართლმსაჯულება, თავისა თქუენისა — და საკუთრებისა, — მოსპობილ იყოს თავის უფალი წაგლეჯ წართმევა, ყოველნი დასდგნენ თჳსს საუკეთესოს და საზოგადოს სარგებლობაზედ, რომ თავისუფლათ და დაუშლელათ იყვნენ თავისს მიწის მოქმედებაზედ და მუშაკობაში, სარჩოს მოპოებაში, ვაჭრობაში და ხელოვნებაში. ყველანი ერთ რიგათ წესდებულები საფარველს ქვეშ. გარდამეტება და კეთილ მდგომარეობა თქვენი ჩემთჳს იქმნება მხოლოდ სასიამოვნო ჯილდო. ამ მინიფესტთან საქართველოში დააწესეს უზენაესი საქართველოს მართებლობა და საქართველოც დაჰყვეს ხუთ უეზდათ ანუ მაზრებათ. ქართლში იყო: გორისა, ლორისა და დუშეთისა და ორიც კახეთში თელავის და სიღნახისა. მართებლობა იყოფოდა ოთხ ნაწილად: პირველი საქმეების აღსრულებისა, მეორე სახაზინო, მესამე სისხლის სამართლისა და მეოთხე სამოქალაქო საქმეებისა; დაწესდა საგანგებლო ექიმებისა, ყოველს უეზდში დაწესდა სუდი (სასჯელი ანუ მდივანხანა) და პოლიცია უეზდისა, რომლისაც მეუფროსე იყო კაპიტან ისპრავნიკი. ქალაქებში დანიშნეს კაზნაჩეი ანუ ხაზინადარი, კომენდატები და იმათს თანაშემწეთ პოლიცმეისტრები ანუ ნაცვლები. პირველი რუსის ჩინოვნიკთაგანნი

იყვნენ დანიშნულები და მეორებათ ქართველის აზნაურნი. საქართველოში მყოფთათრებთან: ყაზახელებთან, ბორჩალოელებთან და ბამბაკელებთან დანიშნეს თითო პრისტავი ანუ მოურავი, საქართველოს თავადისშვილთაგანნი, ფშაველებთან, ხევსურებთან და თუშებთანაც ერთი დანიშნეს. ყოველს მოურავს თითო თანაშემწე დაუნიშნეს რუსთაგანი. ყარაბაღიდამ. ახლად გამოსულს სომხებს თავიანთ მელიქები დაუნარჩუნეს.

საქართველოს გამგებელი, ნაჩალნიკები და ექსპედიციის სოვეტნიკები იყვნენ წევრებათ ანუ ჩლენებათ უზენაესის საქართველოს მართებლობისა. თავადის- შვილებისა განწესება თანამდებობაებში იყო დამოკიდებული კნორინგის ამორჩევაზედა, ერთს წელიწადს შემდეგ კი იმპერატორმა იმათი ამორჩევა მიანდო ისევ საქართველოს თავად-აზნაურშვილებს.

ხელმწიფის უმაღლესი ბრძანება იყო, სამოქალაქო საქმეები ესე იგი რაც სისხლის სამართალს არ ეკუთნოდა, ეწარმოებინათ ქართულის ადათითა და მეფის ვახტანგის სჯულითა ანუ კანონითა, ამ კანონის ძალა და ხალხის ჩვეულება კნორინგსა და მმართებელს კოვალენსკის უნდა შეეტყობინებინათ და ჩაეგონებინათ წერილით და რიგებით სულ სასამართლოები და თანამდებობაში მყოფნი რომ რა რიგათ მოქცეულიყვნენ საქმის წარმოებაში.

იმ ოთხს სასამართლოებში ისხდნენ: პირველში საქართველოს გამგებელი და ორნი მდივან ბეგები ანუ სოვე-

ტნიკები, ერთი რუსის ჩინოვნიკთაგანი და მეორე ქართვე-ლი თავადის შვილი; მეორეში ნაჩალნიკი რუსის ჩინოვნიკი და ოთხნი ქართველი თავადის შვილები, სოვეტნიკები, ორნი ქართლისანი და ორნი კახეთისანი, ღუბერნსკი კაზნაჩეი ანუ სალთხუცესი; მესამეში და მეოთხეში, ნაჩალნიკი რუსის ჩი-ნოვნიკი და ოთხნი მდივანბეგები საქართველოს თავადის-შვილები.

თითონ უმაღლეს მხედართ მთავარს ნაბრძანები ჰქონდა რომ ფხიზელი ყურადღება ჰქონოდა, რომელსაც ადგილებს იმპერატორის სახელითა და უფლებით ის განაგებდა, იქ მოსპობილიყო ყოველი ბოროტ მოქმედება, უსა-მართლოება, შეიწროება, ავაზაკობა, ხოცვა და სისხლის სამართალმა ტანჯვა. მოვალეობაა უმაღლესის მხედართ მთავარისა — რუსეთის კანონების მოწყალებით, შეამციროს ხვედრი დამნაშავეთა და გამოაგდოს ტანჯვა და დასჯა სიკვდილითა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე რომ გადაწყდა იმპერატორი ალექსანდრე თავისის მოწყალებიანის გულით თანახმა შეიქმნა ბატონის შვილების თხოვნაზედ, რომ პეტერ-ბურღიდამ საქართველოში წამოსულიყვნენ.

პირველათ წარმოსთქვა კნორინგთან თვისი სურვილი რომ დანარჩენი მეფის სახლობისანიც საქართველოდამ რუსეთში წაეყვანათ, ეხლაკი იმპერატორი იმათის სათხო-

ვარზედ თანახმა მეიქმნა რომ საქართჳელომი წამოსულიყვნენ. ღოსუდარსტვენის სოვეტმი შეიტანეს მოხსენება, რომ ბატონის-შვლებს გზის ხარჯი მისცემოდათ და მაშინ უარი ჰყო სოვეტმა იმათს უკან დაბრუნებაზედ საქართჳელოშია. 28-ს ნოემბრის თჳსის განაჩენით დაადგინა სოვეტმა, ბატონის-შჳლები რუსეთში დარჩენილ იყვნენ და მიეცათ თითოსთჳს წელიწადში საზდოთ 10,000 მანეთი ხაზინიდამა. პეტერბურღში რომ სიძვირისაგან არ შეწუხებულიყვნენ, ნება მისცეს ბატონის-შვლებსა აერჩიათ თავიანთთჳს რომელსამე ქალაქში ბინა: კიევში, კალუღაში, კურსკში, ვორონეჟში, ხარკოვში ან ასტარხანში, რადგან ამ ქალაქებში უფრო სიაფე იყო. ეს ჯამაგირები ხაზინიდამ უნდა სძლეოდათ ბატონის-შვლებს, მინამ ცნობამი მოიყვანდნენ ვის რამდენი ჰქონდა საქართჳელოში შემოსავალი მამულისა. თუ საჭირო ყოფილიყო იმედი მიეცათ, რომ რომელს ღუბერნიის ქალაქშიაც ისურვებდნენ დაბინავებას, იქ იმათთჳს სახლს იშოვნიდნენ და პირველს შემთხვევაშიაც ყოველის ფრით გააწყობდნენ სახლის ავეჯით. ბატონის-შვლების აზალას ნება მისცეს შეეძლოთ რუსეთში დარჩენაცა და საქართჳელოში წასვლაც და თუ დაბრუნდებოდნენ გზის ხარჯი მიეცემოდათ.

ღოსუდარსტვენნის სოვეტის დადგენილება. იმპერატორმა დაამტკიცა და ბატონის-შვილები რუსეთში დაარჩინეს.

საქართველოს ელჩებათ რომლებიც იყვნენ ჩინები მისცეს

მანდ აღარ უშვებენ აქედამა და რომელნიც მანდ არიან, მე ისე შევიტყე, რომ იმათაც აქ უპირებენ მოყვანასა; და-როდისაც მაგათ მოიყვანენ, მერე ასეთი განზრახვა არის, რაც ნათესაობა და მოყვრები ჰყაეთ ბაგრატიონთა აქ ყველ ანი, ამასთან რაც გამოჩენილი ხალხი არის, თავადის-შვილ-ები, აზნაურ-შვილები და გლეხნიც უნდათ აქ დაასახლონ და აქაურს ყაზახებს 1400 კომლს ჰგზავნიან საქართვე-ლოში.

ამ წიგნის შემდეგ დავით ბატონის-შვილმა მაშინვე არზა მისცა სამსახურიდამ დათხოვნისა; მაგრამ იმპერატორმა ალექსანდრემ ამისი არზა არ მიიღო და ისევ სამსახურში დარჩა.

დასრულდა

თ. ლეონიდ ბარათაშვილი

# ვარძიის მონასტერი.

(მესხეთში.)

ვუძღვნი კნ. მან. რატიევისას.

მოწიწებითა, მეცა მოველ, გცემ შენ თაყვანსა,
სასიქადულოვ მამა-პაპათ შვილთ სახსოვარო;
და რა უყურებ ურიცხვთ სენაკთ, შენს მაღალ მთასა
მძართებს ლმობიერად შენ წინ თავი აწ მოვიხარო!
ვარძიავ! დაველ ღრმა ფიქრებით გარემოცული,
და ვერღა ვპოვებ ვერც ერთს ალაგს ზედ-წარწერასა,
და ეს უფრო მკლავს, რომ ვარ უხმოდ გარემოცული,
ქვემოდან მტკვარი ამომღერის ამოებასა,
მითხარ ვარძიავ, შენ მაინცა აღიძარ ენა,
ევრედ საკვირველად რომელ მეფემ, ვინ აღაშენა;
ანუ რომელი პირველ შენზედ იყო მფლობელი,
მაგ მრავალთ სენაკთ, მითხარ ვისი შეეხო ხელი?
მითხარი: ნუ თუ აქ მარხია ჩვენი თამარი?
ტურფა გვირგვინი მესხეთისა, მთავართ-მთავარი. (*)

---

(*) ზოგნი მოგვითხრობენ, ვითომც აქ იყოს დასაფლავებული მეფე თამარი, პაპურგოპულლო ბერმა, რომელიცა იქა სცხოვრობს შემიყვანა, ეკკლესიის გვერდზედ, ერთს წმინდა სენაკში, მაჩვენა აკლდამა და მითხრა დაბეჯითებით, თამარ მეფე აქ მარხიაო.

ვინ იცის რამდენჯერ გიხილავს დიდება, ლხინი,
და ახლა გხედავ ასე მწარედ იავარ ქმნილი.
შენ საღმრთო ტაძარს სასოებით მზერდენ მეფენი,
და აწ არღა სჩანს თვით მცირედიც პატრონი შენი.
იყო დრო, ოდეს გულ-მხურვალედ წმინდანი ბერნი
ღმერთსა დიდებას, ცადა მიმართ რა აღუვლენდნენ,
შენ საღმრთო ბჭეს ქვეშ მდგომარენი ურიცხვენი ერნი
მათ ღაღადებას, მოწიწებით კრძალვით უსმენდნენ.
ახლა ბერთ ნაცვლად, შექნილხარ შენ ფრინველთ სადგური,
ნაცვლად ზარის ხმის, ისმის სტვენა მწყემსთ სალამურის;
ლოცვის მაგიერ შენ ხეობას დაგრგვინავს ქარი,
ამ სოფლის წესი, ულმობელი, აი ეს არის!...
შენ გმსახურებდნენ, გარს სოფლელნი, ერთგულნი ყმანი,
და აწ შექნილან, მაჰმადისა მტკიცე მოსავნი.
ვარძიავ! გვედრი, გადმოხედე შენს სამწყსოს ძველსა,
და დაუბრუნე, აწ შემცდარნი, შენს საფარველსა,
შენ ჩაუნერგე სიყვარული ქრისტეს ჯვარისა,
იმედი იყო ერთხელ ის, მათ მამა-პაპისა
შენ დაუბრუნე, მცოდე შვილნი, შენ სავანესა,
რათა დამყარდეს, შენს ტაძარში, იგივ დიდება.

ი. კერესელიძე.

**1869** წელს
მარტის **21**-ს
ს. ხერთვისში.

## ბ ი ძ ი ა ს.

ხელი შევახე კალამსა,
ჩემო ბიძია,
ჯერ მოგიძღვნი ტკბილ სალამსა,
როგორც რიგია. —
მოწიწებით დავიკრამ თავს
შენი ძმის-წული.
თქვენთან პატარა საქმე მაქვს,
დამიგდე ყური!
ერთი, ორი სიტყვისათვის,
ბიძია კარგო,
არ გამრისხო სიმართლისთვის,
ეგებ რამ გარგო:
კარგი არის ეგ სიმდიდრე;
გულსა გიხარებს;
მონათა გყავს არე-მარე,
ყველა შენ გაქებს.
ვაჰ თუ ეგე მონება
შენ არ გეკუთნის,
ეგებ ფულებთან აქვთ ხლება,
ვისთვის გული ქრთის.
ერთმა შენმა მეგობარმა
აი რა მითხრა:
ბიძა შენმა იმ სულელმა
ეს იმოქმედა:
გუშინ მოვიდა ქუთაის

კნიაზ პრანჭელი,
ბიძა შენი ისე უვლის,
როგორც გამდელი.
ეს რასა გავს, გთხოვ, მითხარი?
ჭმევა მაძღრისა!
მას არ ბრძანებს მაცხოვარი,
მხსნელი სოფლისა. —
მშიერთ ჭმევა, აღდგინება
დაცემულ სოფლად,
აი ეს არს უფლის ნება
ეს გვადევს ვალად.
ფარისევლულნი ქებანი,
აბა რათ გინდა?
არ სჯობია ის სიტყვანი,
რომელ არს წმინდა.
მამინ ყოველთვის წმიდა ქებას
შენ გაიგონებ,
როცა მისცემ ღარიბს მჭებას,
არა კნიაზებს,
მით ვათავებ ჩემსა ლექსა,
ბიძა ერთ-გულო?
ამ სიტყვებზედ გთხოვ, თუმც მეკრთი,
არ დამემდური!...

ქ. ქუთაისს.

## გ ე მ დ უ რ ი.

დავიბადე მე უბედო ამ სოფლად,
მოდით, დანო,—დამეკითხეთ: რასთვინა!
მისთვის, რომელ ცხოვრება მექმნა ტანჯვად,
სევდამ საწყალს საუკუნოთ მილხინა.

მე მევიქენ ტანჯვითა შეპყრობილი,
მოდით, დანო, მიშველეთ რამე საწყალს,
თავს მევლება ჩემგნით არა ხმობილი,
მისი ტრფობა მანელებს საბრალო ქალს.

გირჩევთ, დანო, ცოცხლად ჩავარდნას ცეცხლში,
გირჩევთ, მარად მათხოვრათ წანწალებდეთ;
ვირემც თრთოდეთ იმა ქმრისა საწოლში,
სიყვარულსა სადაც ვერა ჰპოვებდეთ.

ქალის ბედი, ქალისა ნეტარება
არის მხოლოდ ტრფობა და სიყვარული,
სიცოცხლისა ნაპერწკალი განქრება,
თუ თავს გადგამს ამა გრძნობისა რთული.

მე საბრალოს თავს დამადგა ეს რთული.
ოხ! მშვიდობით შენ, ჩემო სიყმაწვილე!
მომავლისთვის მიშფოთამს მწარეთ გული,
ვემდური შენ,—ვიზგანაც ეს ვიხილე!!!

ალექსანდრე აკოფოვი.

ქ. ქუთაისს,

გ ა მ ო ს უ ლ ა 4.

იგინიევე და ბასილა.

ბასილა. (შემოვა კუხნით) რას მეძახი გამდელო?

ტასიკა. ბიჭო, წად ხანჯალი შემოირტყი და წამომყევი სხუაგან მივდივარ!

ბასილა. სად უნდა წავიდეთ მითხარი, არავის მოაკვლევინო ჩემი თავი, ერთი ობოლი ბიჭი ვარ.

ტასიკა. საცა მივდივარ სულელო? შენი საქმე არ არის, წადი მეთქი მზათ იყავ.

ბასილა. მაშ სხვა იარაღსაც წამოვიღებ, რადგანაც აგრეა თუ ერთი ხელი მახლო ვინმე? მაშინ•მე ვიცი?

ლალო. ქა! განა რას უზამ?

ბასილა რას უზამ? ეგ მე ვიცი რასაც უზამ? შემოვრამ კისერში და თავს გავაგდებინებ.

ლალო. გაგონილა! რას გადარეულხარ ბიჭო, იარაღი არ გინდა ჯოხი დაიჭირე ხელში.

ბასილა. კარგი ქალბატონო, თქუენი ნება, ერთი დიდ თავა კომბალი მაქუს დალურსმული, იმას წავიღებ, მაგრამ თუ უსართე ვისმე შენი მტერი, მაშინათვე კი მწარეთ თავ

ბრუ დაეხუჩუა. (გავა კუხნაში).

ლალო. გამდელო, არ დაიგვიანო კი ჩქარა მოდი!

ტასიკა. ქა! ჩქარა როგორ იქნება, ამოდენა გზა მაქუს გასაველელი, იქ რას გავაკეთებ, საქმეს რომ მოვრჩები ჩქარა მოვალ. [გავა შუაზედ.)

ლალო. [მარტოკა] ნეტავი ამ დედაკაცმა სწორე ამბავი მომიტანოს, მაგრამ ძალიან კი ვიშიშვი, ვაი თუ კარგი ამბის მაგიერათ ცუდი მომიტანოს.

გ ა მ ო ს უ ლ ა 5.

იგივე და რიმსიმე.

რიმსიმე. [შემოვა] ლალოჯან! ალას აგერ ჩუჩუი მუამავალი მოჰყავს, წადი შენს ოთახში, ნუ ეჩვენები [ლალო გავა მარჯვენივ.)

გ ა მ ო ს უ ლ ა 6

ნიკოლოზ და ლევან.

ნიკოლოზ. [შუაკარით] ახალ მობძანდი დალოცვილო, რა დროს რიდულობა?

ლევან. ნუ სწუხდებით, რა პატიჟი მინდა, (რიმსიმეს თავს უკრამს] როგორ მშვიდობით და უმიზეზოთ ბძანდებით?

რიმსიმე. გახლავართ, ბატონო კარგათა, დაბძანდით. (დასხდებიან.]

ნიკოლოზ. რემსიმეჯან! ბატონი ლევან ბეგი აი რა ბძანა, სიძე ყაბული უქნია და მზათ არის ქორწილისთჳსა, ასუმე.

რიმსიმე. მადლობელი ვართ ჩუენც ყაბული გუაქუს, მაგრამ ხომ სხვაგან არ წაიყუანს, ჩუენი ქალმა?

ლევან. რაბძანებაა, სულ აქ იცხოვრებს, ბრწყინუალეთა სწავლა არა აქვს თუ? იმისი დაწერილი არზა, რას ბძანებთ გასაოცარია, ესე იგი, არაფრათ კი არა ღირს.

ნიკოლოზ. (იქით] არზაც კარგი რამ არის, დავაწერინებ და გაკეთდა საქმე. [ლევანს] მერე ხასიათი როგორილა აქუს?

ლევან. მამაჩემი ვახტანგი არ წამიწმყდებაცალი არა ჰყავს ნიკოლოზას მზემა, სუვანიც ბევრნი მეხვეწნენ, მაგრამ მე შენთჳს მოვინდომე ამისთანა ბედნიერება და მოგიხერხე.

რიმსიმე. მადლობელი ვართ ბატონოჯან, დიდი მადლობელი.

ნიკოლოზ. ჩინი? რა აქვს? ან პინცია?

ლევან. ტიტულიარნის სოვეტნიკა, აბა რას ბძანებთ ქორწილისას, ის მზათ არის ამაღამისთჳს,

ნიკოლოზ. [იქით) ტიტველობების სოვეტნიკი? ჰა, რიმსი-

ჯანი ფესენ ასუმე ჰაზირე, შენ რას იტყვი?

რიმსიმე. დიახ კარგი იქნება, ხომ ჩვენც მზათა ვართ, ამაღამვე ქორწილი ვქნათ.

ლევან. კარგი იქნება, რაღა დაგვიანდეს, მაშ მე წავალ და ვეტყვი სიძესა, რომ მზათა ხართ თქვენცა, ჩვენც თავის დროზედ მოვალთ საქორწილოთ მზანი.

ნიკოლოზ. კარგია; ჰამა ბევრს ნუღარ დაიგვიანებთ.

ლევან. ღამის რვა საათზედ აქა ვართ, მშვიდობით; ნახვამდინ.

ნიკოლოზ. დაიცა, დაიცა, გაგაცილო ვა! ძაღლი არ გიკბინოს. (გავლენ ყველანი.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა 7.

ლალო- (შემოვა ოთახიდამ) რა ვქნა! ამაღამ ქორწილს მიპირობენ და არვიცი ასე ჰარი-ჰარბით რა ამბავია, მამა ჩემიც ასე აჩქარებულია, მეშინიან მოჯადოებული არ იყოს, ახ! ნეტა ერთი თვალიც არის დამეკრა ჩემი საქმროსათვის, ლამაზია თუ არა გოგო! ტასიკამაც დაიგვიანა არ ვიცი გზაში რა დაეფეთა.

## გამოსულა 8.

ლალო და ტასიკა.

ტასიკა. [შემოვარდება შუცკარით ქაქანით) ვაჲ, ქალბატონო! ვკუდები მიშველეთ, მიშველეთ! (დაეცემა ძირს].

ლალო. (შეშინებული მივარდება და სწევს) რა არის რა დაგმართვია.

ტასიკა. ვაი? თავი, მისკვდება, გენაცვალეთ ვკვდები?

ლალო, (გაკვირვებით): გაგონილა! რა ვაი შემოგწოლია! შე-შეჩვენებულო არ იტყვი? (სწევს ხელითა.)

ტასიკა. რა შეუბრალებელიხარ? ჩემი ქმრის ცხონებამ ლამის მოვკდე, ვაი? წელი, წელი?

ლალო. ახლა წელი? რავქნა! დედაკაცო შეტარტარზო? რა დაგფეთებია, საცა გავგზავნე რა ქენ?

ტასიკა. (ტირილით) დამაცალე პატარა გული მოვიბრუნო! ლამის გავთავდე. ოხ! თავისკვდება!

ლალო. კიდევ თავი? ლამის გამაგიჟოს ამწყეულმა! კარქა ადექ და მითხარ: ნახე თუ ვერა!

ტასიკა (წამოჯდება კუნესითა ჰო! ვნახე, ვნახე? გენაცვა, ლამის სულიწაგივიდეს ჩემი — ქმრის ცხონებამ, რა მოუთმენელი ხარ? ოჰ! ლამის გული ამამუარდეს სიცხეში ტუნტულითა.

ლალო. [გაჯავრებით.] გული. ნუ დამიჭლექე მე გულ მკუდარო, თუ ნახე მითხარი როგორი რამარის?

ტასიკა. (წამომჯდარი დალრეჯით): ია! ნულარ მკითხამ!

ლალო. [მემანებული] როგორ? განა ცუდია!

ტასიკა. დიახ, დიახ; მარა არის? მაგრამ ოჰ! მე საკურველად მამეწონა ჩემი ქრმის ცხონებამ? რომ კარგი კეთილ შობილი ყოფილა! შეირთე ურივოს არა იქმ.

ლალო. როგორ! განა მოსაწონია! სახე როგორილა აქვს?

ტასიკა. სახე სალა ვსთქვა! იმისთანა ლამაზი? იმისთანა მშვენიერი? ვილა იქნება! მე დასტურ გაძლევ შეირთე, უთუოთ შეირთე.

ლალო. ხომ არ გიცნო!

ტასიკა. როგორ არა შენთან დამაბარა კოცნები და მითხრა: შენი ლალო ასე მიყუარს, ასე მიყვარს, რომ ლამის გავგიჟდეო. ძალიან კარგი ვაჟი ყოფილა ჩემი ქრმის ცხონებამ, მეგირჩევ შეირთე, თორემ ინანებ.

ლალო. ვაი შერცხვენილსა! ვაი თავ მოჭრილსა! (შეტევით) რათ გამოემცნაურე მე წყეულო?

ტასიკა. უი დამიდგა თუალი? მაშ შენ ქმარს მოერიდებოდი? ვაი ჩემი ბრალი, ეხლავე არ მიჯავრდება ნუ ნახამო.

ლალო ამიტომ მე გულ მკუდარო რომ, ვინ იცის გახდება სწორეთ ჩემი ქმარი თუარა?

ტასიკა. ქა! მაგაში მე რა ბრალი მაქუს, გახდება თუ არა. მე არ მე გეცილები, ნუგეშინიან, მაგისი ჯავრი ნუ დაქვს. —

ლალო. (გაჯავრებით) კარგი აქ დროთ ალარარის ლაპარაკისა, საცაა სტუმრები მოველენ (მიმავალი) შენამც გაბდლვნილხარ, როგორც მე გული მამიკალ გავა.

ტასიკა. (მარტო ვაი ჩემი ბრალი? ვაი ჩემს სიბერესა! რომ ისეთი უბედური დედაკიცი შევიქენ ამათ კელში. [ტირის] ეს სულ ჩემი ქრმის ბრალია! თითონ საიქიოს გადისვენა და მეკი აქ დამაგდო ამათ სატანჯავათ, რატომ მეც თან არ წამიყვანა. არ იცოდა, რომ მაწვალებდნენ, [ამ დროს ბასილა შემოვა ორის სამთლით ტასიკა ვერა ხედავს) ჩემი ამაგი ვერავის დავანახვე! ვეება მშჳენიერი ქალი მე გავზარდე, მადლობის მაგიერათ? უნდა მითხრას, შენამც გაბდლვნილხარო, რატომ მიწა არ დაჭფარავს და არ დამმარხვენ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა 9

ტასიკა და ბასილა.

ბასილა. (საათლებს სტოლზედ დასდგამს): რას იღრიჯები საჭაგლით ქალბატონმა ბრძანა სახლი კარგათ დაალაგეთო.

ტასიკა. შენი გული არა მაქუს? თვალიმც დაგიდგებ

ბასილა. თვალიმც დაგიდგება დაყურებიცა.

ტასიკა. გაეთრიე მეთქი იქითა!

ბასილა. გაეთრიე და გადილუპე კიდეცა.

ტასიკა. გამშორდი მეთქი? სულელო აქლემის ჩოჩორო!

ბასილა. შენა ხარ სულელი? ჰო? გოგრავ, გოგრავ? ი,ი, (ენას უყოფს)

ტასიკა ვაი თვალებო დადექ? რატომ ცოცხლივ არ დამარჩვენ? ამანაც მეუნდა დამიბრიყოს?) კბილის ღრჭენით გამოუდგება და დასდევს, ბასილა ქვლის სტოლს და სკამებს. (ოოჰ: შენამც შეგჭამენ მგლები და ტურები. შე, შე, შე, აქლემის ჩოჩორო.)

ბასილა. შენ ეი! გოგრავ! ხმა ჩაიწყვიტე თორემ ისე დაგბუზნავ როგორც და თვი გესმის?

ტასიკა. რაო, რაო? )დადგება გაოცებით] გენაცვალეთ, რაებს მაკადრებს? გამოუდგება სკამ წამოვლებული ბრაზიან ათ) ოოჰ! ერთი მუჭა შენი სისხლი მახვერიტა!

ბასილა· დადექი მეთქი? თორემ კატასავით დაგარჩობ!

ტასიკა. (გამწარებული სკამით დასდევს] ვისა, ვისა!

ბასილა. [ქვლის) ეჰ, გოგრავ? დე ისე გაოყობ, შენ კუნძივით თრევა მოგდომნია და კომშივით დაბექაცა გესმის?—

ტასიკა. ვის ათრევ, ვისა! შენ შე გაბდღვნილის შვლო?

ბასილა. (ქველას სტოლს სკამებს დიდხანს ენას უყოფს)

იი, ააჰ გოგრავ! გოგრავ! [გადააბრუნებს სტოლს, სკამებს, ყველას, გაეარდება ბასილა და გაჰყვება ტასიკა ყვირილითა.)

## გამოსვლა 10.

რიმსიმე. (შემოვა და დაინახამს არეულს სახლსა, გაოცდება] ვა! ეს რა ამბავია? გენაცვალეთ ამას რას ეხედამ? რაუქნიათ იმ გასაწყვეტებს (დაიყვირებს] გენაცვალეთ ეს რა-ენახე, ვაი, ვაი, გული მიწუხდება ალაჯან! ვკვდები მიშველე! [ნელ-ნელა დაეცემა ტახტზედ.)

## გამოსვლა 11.

რიმსიმე და ნიკოლოზ.

ნიკოლოზ [შემოვარდება] ნუ გეშინიან რიმსიმეჯან, აქა ვარ! (გამოქანებული წაქცეულ სკამს გადააწყდება, ადგება და) ფიე, ეს რა იყო! [მივარდება) რიმსიმეჯან! გული მოიბრუნე, ქუ მატალ! რაანბავია? თვალი გაალე? აი აქა ვარ, ალა ნიკოლოზა!

რიმსიმე. (მოხედავს] ოჰ, ოჰ! აი, დაგინახე, ეგ შენა ხარ ალაჯან? გული მიმდის, ხელი დამადე გულზედ, თუ როგორ

ძაგძაგებს , ძალიან შემეშინდა. და, და, და! რა ენახე?

ნიკოლოზ. ფიე! რა ნახე? რისა შეგეშინდა ეა! აქ არაფარ, გინდა ათასი ლეკი მოვიდეს სულ გავწყვეტ ჩემა მზემა ჰა!

რიმსიმე. გასწყვეტამ? მაშ კარგი ალაჯან, (გულ მობრუნებით) ეხლა კი აღარ მეშინიან, მაგრამ ერთი ნახეთ, რა უქნიათ და ეა!

ნიკოლოზ. ვისა?

რიმსიმე. რაღა ვისა! ჩუენი ბიჭი ბასილუასა და ტასიკუასა, მე უთხარი სახლი დაალაგეთ მეთქი და იმათ როგორ გადურევიათ, გენაცვალეთ გული გადამიბრუნდა და იმიტომ შემეშინდა, ასე მეგონა ქურდს აუკლია სახლი მეთქი [ხელს უშვერს სტოლს და სკამზედ].

ნიკოლოზ. ეა! [დაინახამს) რას ეხედამ! განა ასე უნდა დალაგება! იმ ახმახს, ეს რაუქნიათ, ახ, ახ! ეს ინჩ კრაკე, ის რა ჰარამზადა ვინმეა, შენ ერთი გული მოიბრუნე რიმსიმეჯან ნახამ თუ იმის თავზე რას უზამ (გაეარდება).

რიმსიმე. აი, დედენი მატნი ქიზ დეეერტანე ბასილავ, დედენი მატნი, მიწამ შეგჭამოს, შენცა ტასიკავ ოდა ჰოო!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 12

ნიკოლოზ და ბასილა.

ბასილა. [შემოიყვანს ნიკოლოზა ბასილას ყურში ხელ-

კიდებულსა და ყვირის) ვაი მე! მოვკვდი, მოვკვდი! ყური მომგლიჯა ალა!

ნიკოლოზა· (უჩვენებს] აბა ეს რაგიქნიათ, თქუენ ახმახებო? და შენ ჰარამზადა ჰა!..

რიმსიმე· გაბრაზებული მივარდება მეორე ყურსა მიუწმოუწევს და ეუბნება) შე თავ გასახმობო? კიდევა იქ ამისთანა საქმესა ჰა!

ბასილა. (ყვირის] ვაიმე, ქალ-ბატონო, შენც აეი სული ყოფილხარ ალასავით, ალარა ვიქ, ალარა, ალარა! ვაი, ვაი! ვაი, მოვკვდი! ალა, მაპატიეეთ!

ნიკოლოზ. გაუშვათ ეყოფა ჰა! ჰა, შენ ჰარამზადავ ეხლავ ემ საათში, ემ მინუტში დაალაგე!

ბასილა· ეხლავ დავალაგებ, ეხლავ, ვაიმე ყურო, ოჰ, ოჰ, ოჰ, როგორ მიწივის (ხელით ისრესავს ყურებს. [ნიკოლოზა გავა).

რიმსიმე· ჯანი დავარდეს [დაჯდება) დავიქანცე დღეს რამტენი რამ გავაკეთე· ძლივს მოვახერხე ქორწილმა, ჩემი ქმარი არ ემეტებოდა ფული, მაგრამ ახარ რას იქმოდა, ვა! სირცხვილმა დამწვა, (ბასილა დაალაგებს და გავა.) რამდენი დავნიშნე იმდენი გავამევებინე, თქუეს თუ ეს ნაკოტრალის შვლიაო, ეს ყომარბაზია ცოლს ქალალდში წაავებსო, ეს ბედოვლათიაო, ჰ.მა ახლა როგორიც მინდოდა, ისეთი სიძე ვიშოვნე·

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 13.

იგინივე, ნიკოლოზ, საამ და ლევან.

ნიკოლოზ. [მორთული მოუძღვის, გულზედ თეთრი მედალი აქუს] პროშუ პუკურნო, ახარ მობძანდით კნიაზ, რა უკან იწევ..

საამ. ახ! ნუ სწუხდებით, მოვდივარ (შემოვლენ)

რიმსიმე. ფესენ გალისე, გენაცვალეთ ფესენ!

ნიკოლოზ. აი კნიაზ თქუენი სიდედრიც აქ გახლავთ, აი ეს ბძანდება.

საამ. (თავისკვრით) დიდი მოხარული და ბედნიერი ვარ თქუენის ნახვასა და მშვდობიანობისათჳს [ლევანიც თავს უკრამს)

რიმსიმე. გმადლობ სიძეჯან, კაი მურაზი მოგცეს, გთხოვთ დაბძანდით (დასხდებიან).

ნიკოლოზ. აბა ახლა რას ბძანებთ?

საამ. თქუენ ბძანეთ ვნახოთ რა იქნება?

ნიკოლოზ. რა ვსთქუა ჩემი ყაბულია, გაძლევ ჩემმა ქალმა, მშუენიერსა, ლამაზსა, კეკლუცსა, ყუათიანსა, ამტელი რამეები იცის, შენმა მზემა, რომ ფრინველი დახატამს ჰა, ერთი სიტყვით ოქროს ხელი აქუს

ლენეან როგორ? კაი ქალამნებს ამოასხამს?

ნიკოლოზ ქა, მერე ქალამანები ვის უნდა?

ლეონ. ისე რაღა, ჩასაცმელათ.

ნიკოლოზ. ეე, კნიაზჯან მასხარაა შერები. ხუმრობა იქით და ჩემის მხრით მზათ არის ყველა.

რიმსიმე. სულ, სულ მზათ არის, ერთად შეკრულია და მებ-ეჭდილი, ფულიცა და ქალიცა.

ნიკოლოზ. რატომ არას ბძანებთ, დაიწერეთ ჯვარი რაღა!

ლევან. მაშ მოიტანეთ ჯერ, ფული დათვალეთ.

ნიკოლოზ. ვა, ელიე ასუმ, რახან აგრეა, ნე განა იმისთა-ნა ვინმე ვარ, ჩემი სიტყვა ჭეშმარიტია [რიმსიმეს) შენ ქალი გამოიტანე, მე ფულ'ს ჩავაბარებ, (რიმსიმე გავა და ნიკოლოზ ამოიღებს ყუთიდამ ბუმაჟნიკსა, დაფთელის ბილ-ეთებსა) აი კნიაზ, თვალი გაალეთ, ხუთ თუმნიანი, აი ეს ოცი და ოცდა ათი დაორმოცდა ათი თუმანი, კარგათ თვალი გაა-ლე, კნიაზ აი გახთა ასი თუმანი. (საამ) დიაჰ სწორეა [ნიკოლოზ:) აქაც არის ორასი თუმანი ეს შესრულდა ოთხასი თუმანი სწორეთ ოთხასი, ხელი, მოაწერე დამთარზედ რომ სულ მიიღე.

საამ. გამოართმევს და ჩაიდებს უბეში, ესეც ასრე, უბეს ბარაქა (სტოლზედ ხელს აწერს] ჩამბარდა ალთქმული ფული, ოთხასი თუმანი.

ნიკოლოზ. (ლევანს] გთხოვთ მოაწეროთ ხელი.

ლევან. ბატონი ბრძანდებით, აი მოწამე ვარ, ესეც ასრე, ფულის საქმეც გათავდა

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 14.

(რიმსამე, ლალო და ტასიკა შემოვლენ]

ნიკოლოზ აი ჩემი ქალმა.

ლეონ. (საამს ეუბნება.) კარგათ თვალები დააცეცე რა ბრწყინვალე ქმნილებაა! ამისი მგზავსი გინახავს სადმე? იმას გავს სწორეთ ტარიელის ნესტარ დარეჯანსა, გესმის? ტანი, ყელი, შავი თვალები და წარბები კაცის გონებას მოსტაცებს ახლა ხელები, თითები, ლამაზი თითები? სწორეთ მარგალიტია! ერთის სიტყვით ბედი შენი, ბრმა ბედი გამეფდა, წადი დაწადი!

ნიკოლოზ. (საამს) რატომ არას ბძანებ კნიაზ. მოგწონს თუ არა?

საამ. რატომ. რატომ, [იქით) ამისმა მშვენებამ ჩემი თვალები, ჩემი ფიქრი, გონება, შორს გაიტაცა. (ლევანს) ოჰ! რა მადლობელი ვარ კეთილო სულო, მე ვგრძნობ, რომ მივიახლე ახალს ედემის გზას მოსარჩეველათ (ნიკოლოზს) ყაბული, ყაბულია ჩემგან.

ტასიკა. ჩემი ქმარის ცხოვნებამ, რომ ქვეყანაზედ არ არის ამისთანა მშვენიერი. —

ლევან. საქმე გათავდა ნიკოლოზ, დალოცეთ.

რიფსიმე. დალოცე რაღა ვა, რაღათ აგვიანებ?

ნიკოლოზ· აი ვა! ეხლავ, რიფსიმეჯან, რა ძლიერ ცხარობ [მოჰკიდებს ხელსა), შვილო ლალო და საძეჯან! მოგცეთ კაი მურაზი, დოვლათი, მოგცეთ პური, ღვინო, ფულის შნო და ყაირათი, მოგიკვდესთ მტერი და დაკარდეს თქუენს დუშმანს ორივ თვალეში, მოგაშოროთ სატანა და ადიდებული წყალი, მოგაშოროთ ავათ მყოფობა და დოხტურობის წამალი, მოგაშოროთ და დავიდარაბა, ამინ! ოხრათ დარჩეს, თუ მეტი ვიცოდე და თქუენზედ დაგზოგოთ· (ლევან] ამინ.

ლევან· დიახ ახლა მჯერა, რომ ცოლ ქმარნი არიან, მომილოცამს ჩემო საყვარელო, ჩემო მეგობარო·

საამ მადლობელი ვარ ჩემო გამაბედნიერებელო, სარწმუნო მეგობარო, გმადლობ ათასჯერ, გმადლობ·

ლევან. მადლობა გმართებს, დიახაც გაგაბედნიერე.

ბასილა. (შემოვა მუაკარით) მღვდელმა შემოთვალა მობძანდით საყდარშიდო·

ლევან· ეს ჴმაც კარგია, მაშ წავიდეთ საყდარში.

ნიკოლოზ. კარგი იქნება·

საამ. აბა მაშ გავსწიოთ, იქით ჩამომეცალენით მტერნო, [მიდიან ერთობ კარებამდინ].

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 15.

იგინივე და კვარტალნი, დესეტნიკი და მერმე ოსანა შემოვლენ.

კვარტალნი. მოიცადეთ, დადექით, თქუენში დამალული რამ საქმე აღმოჩენილა!

ნიკოლოზ. (დაფეთდება] როგორ..რა, რა..ამბავია? ვაიმე უთუოდ მე მიჭერს, რა დროს მამასწრეს.

ლევან. (შემკრთალი) შენა! თუ აგრე არის ფიქრი ნუ გაქუს აქ არა ვართ [კვარტალს] რა გნებავსთ?

კვარტალნი. (ჯავრობით) რაც მნებავს შეიტყობთ, ნუ გგონიათ შეგრჩეთ კანონის დარღვევა.

ლევან. რათ ჯავრობთ, ხვალ თითონ გამოცხადდება პოლიციაშია.

კვარტალნი. აბა, ბაბაბა, არ შეიძლება ეხლავ უნდა დაეიჭირო.

ნიკოლოზ. ვა, ხათაე!

ლევან. უფალო, ურიგო ყვირილი რა კარქია, გთხოვთ ხვალამდი დარჩეს.

კვარტალნი. (ყვირილით) ჩემი ნებაა, უნდა ასე ეიყვირო, არ შეიძლება, ეხლავ უნდა წავაბძანო.

ნიკოლოზ. (იქით] ვა, გიჟე? [კვარტალს) ახარ რადროსია, არ დამაცლით ქორწილსა?

კვარტალნი. მე ქორწილს არ დაეეძებ, ბძანება უნდა ასრულდეს.

ლევან. რახან არ შეიძლება აჰა, და წაიყვანე (მიუშვერს ხელს ნიკოლოზზედ)

ნიკოლოზ. მაშ წაეიდეთ ელი, აფიცარო!

კვარტალნი. როგორ, ეს თქუენ ნიკოლოზა ხართ? ეხლა ვინ იწერს ჯვარსა?

სამ. მე რა იყო? [იქით) სწორეთ ტუტუცია ეილაც ოხერია!

კვარტალნი. მაშ სწორეთ თქვენა ხართ? უნდა წაგიყვანოთ.

სამ. როგორ? ვისის ბძანებით?

ნიკოლოზ. (გაკვირვებით) ვა! აფიცარო რაები ამბობ? სწორე გაგვაგებინე ერთი მამა გიცხონდა და ვა!

გ ა მ ო ს ვ ლ ა 16.

იგინივე და ოსანა.

ოსანა. [შემოვარდება ყვირილითა შუა კარიდამ) შე ჩემის ცოდვით დატანჯულო, უსამართლოვ, შეუბრალებელო, უსულოვ, ულთოვ, მე ცოცხალს ცოლს მიშვებ და სხვას ირთავ?

ნიკოლოზ და რიმსიმე. (გაოცებულნი) გეთაყვათ, ეს რა მესმის!!

კვარტალნი. პასუხის გებაში ხართ მიცემული.

საამ. (ქალით] რა დროს გამაბეს მახეში უნდა ატკაზი უყო, მეტი გზა არ არის [აფიცარს] რას ბძანებთ, როგორ პასუხის გებაში [ოსანას) რა ცოლი? რას ამბობ დედაკაცო, ვინა ხარ შენა?

რიმსიმე. (იქით] ვაიმე მკლო ჩემო! აზიზმაზიზო რა უბედურმა ყოფილხარ, (გავლენ ოთახში რიმსიმე, ლოლო და ტასია).

ოსანა. ვინა ვარ? მე ვერ მიცნობ? შენს ცოლსა! გესმით, ამისთანა უსამართლო კაცი იქნება! (გაჯავრებით] ნამუსი არ არის შენში, პატიოსანო კაცო!

საამ. რის ცოლი რა ცოლი, რას ლაპარაკობ, რას გადასც გადმოსცემ, მიცნობ, გიცნობ ვინა ხარ? თავის დღეში მინახავხარ?

კვარტალნი. ბატონო მე ბძანება უმაღლესის მთავრობისა უნდა აღვასრულო და წაგიყვანო.

საამ. რა ამბავზედ, რისთვის?

კვარტალნი. აი ამზედ, რომ შენ ამ ცოცხალს ცოლს უშვებ და სხვას ირთამ რჯულის წინააღმდეგად

საამ. რაო, რაო' უკაცრავათ რომ მოგახსენო ტყუილი გახლავს, ძალიან ტყუილი, მე ცოლი არა მყავს, სულ, სულ არა მყავს.

ოსანა. როგორ ტყუილია! მე არა ვარ შენი ცოლი?

სამ. კიდევ! რის ცოლი, რა ცოლი? ვინ მომცა მე ცოლი? წადით აქედამ ნუ აგვერიეთ.

ნიკოლოზ. ეს რა დავიდარაბაა ჩემ თავზე, ერთი ყალამათ გავფუჭდი რაღა ვა!

კვარტალნი. (ხელს მოჰკიდებს სამს] მობძანდი, წავიდეთ!

სამ. (ხელს გამოჰკრავს) გამიშვით, როგორ შეგიძლიანთ უბრალო კაცივით დამიჭირო, იცი რას გ ზამ?.

კვარტალნი. ყუავის ჯოგი არ დამიფთხო, მავასთანა მუქარეებისა არ მეშინიან.

ლევან. უფალო, ძალიან უკანონოთ იქცევით?

ნიკოლოზ ვაი რა შხამი გახდა ქორწილმა, ახ! (თავს იქნევს),

სამ. რავქენ, სწორეთ არ გამ გებინებ?

კვარტალნი. რა გეყურება [ოსანზე) ეს ვისი ცოლია! შენი არ არის? რათ ანებებ თავს, ჰა გესმისთ?

სამ. მესმის, და მე კიდევ ამას გეუბნებით მე ცოლი არა მყავს. ტყუის ეგ დედაკაცი.

ოსანა. ოხ! გენაცვალეთ რა ტყუილს ამბობს [უჩვენებს ლევანისა] აი ბატონო, ჩუენი მეჯვარე ეს იყო, კარგათ იცის ამანაცა

ლევან. მე თავისდღეშიაც არ ვიცნობთ და რა მეცოდინება.

საამ. [იცინის) აი ტყუილი, აი სიცრუე? აი სულელობა, დაუკარგამს ქმარი და ველარ უპოვნია, მე ქმარს მეძახის (ლევანზე) ამას მეჯვარეს, გიჟია უბედური. [კვარტალნის) ერთი ჰკითხეთ სად ჰყოლია ქმარი და სად დაუწერია ჯვარი.

კვარტალნი· [იქით] ოჯახი დაექცეს ვინც ეს დარდუბალა საქმე მამახვია, აბა რა ემმაკი უყო, ამათ საქმეს თვითონ სოლომონ ბრძენიც ვერ გაარჩევს და მე რას გავაწყოფ (ოსანას) ადამიანო თქვი რომელია მართალი ქმარი და რომელს საყდარში დაიწერეთ ჯვარი?

ოსანა. კუსიერეთის სოფლის წმინდის გიორგის საყდარში დავიწერე ჯვარი სწორეთ ამაზედ [საამზე) ოთხი წელიწადია სწორეთ, თუ გინდა ჰკითხეთ ღვდელსა.

საამ. მისწერეთ და გაგზავნეთ ღვდელთან და მალე სცნობთ ამ უჭკუო დედაკაცის ქმარი ვინცა ყოფილა!

ლევან· ძალიან კარგი იქნება.

ოსანა· აგრე იყოს. თუ ჯვარ დაწერილი არ ვიყო ჯარიმაში დამარჩეთ·

კვარტალნი· მაშა დაესწერდა გავგზავნი (სტოლზედ აიღებს საწერ-კალამსა და სწერს]·

ნიკოლოზ (იქით] ვა! ეს რა ცეცხლია (ლევანს) დალოცვილო, თუ ეს დავიდარაბა ქონდა და ამისთანა დაშხამულმა ცოლი ჰყავდა ერთი. რატომ არა თქვი?

ლევან. ეგ ტყუის, მე ვიცი სწორეთა არა ჰყოლია ცოლი, თორემ როგორ შეიძლებოდა!

სამ. თქვენ ნუ სწუხდებით მაგისთჳს, აი მასწერომს მალე სცნობთ, რო ცოლი არა მყავს,

კვარტალნი. (დაბეჭდავს) ეი დესიატსკი!

დესეტნიკი. ჩტო პრიკაჟიტე ვაშე ვისოკო ბლაღოროდიე (წადგება]

კვარტალნი. (მისცემს) წაიღე ეს წიგნი აი, იმ ახლო სოფლის მღვდელთან და პასუხი ჩქარა მოიტანე! ხომ მიხვდი?

დესეტნიკი. მიყხედი, ბატონი ბძანდები [გავა).

კვარტალნი. (ოსანას] თქუენ წაბძანდით და სამ საათს უკან მობძანდით, სანამ პასუხსაც მოიტანს.

ოსანა. მე ვერსად წავალ სანამ ქმარს არ გამატანთ.

ნიკოლოზ. ვაი გაგატანთ, რა შენი ზაქია თუ?

ოსანა. შენ რაღას ბოდამ? ხო არ გინდა შენი ქალი შეირთოს, დიახ დაგანებებ, შენმა სიცოცხლემ.

ნიკოლოზ. ჩემს ქალს დაეხსენი, თეჩე, ისგიდიმ შენი საძაგელი ენით ნუ ახსენებ ჩემი ქალმა, თორემ მე სხუა ჰკუის ემე ცინმე ვარ, გესმის?

ოსანა. შენც შეგარცხვინოს და შენი ქალიცა, დამპალი გომბიო, გინდა გაასალო განა?

ნიკოლოზ, სამ და ლევან. (ერთად მისცვივიან] როგორა, შე სატანას ჩამომავალო, როგორ გაბედე ამისთანა ანგელოზის შეურაცხება,ღირსი ხარ ეგ საძაგელი ენა ამოგაძრო ოთ.

კვარტალნი. [შუაში ჩაუდგება) მოითმინეთ ბატონებო,

აპატიეთ დიდიკაცია, მაგისი ტვინი, ჩანს გალაყებულია, დაუთმეთ (ოსანას) მართლა ბრიყვი ყოფილხარ [დაუყვირებს) წადით როგორც წელან გითხარ წადით!

ოსანა. აი წავალ, წავალ, (მიდის შეშინებული) გენაცვალეთ აფიცარიც მოქრთამეს რაღა ვქნა! (გავა შუაზე] აფიცარი მოქრთამეს და მიიმხრეს.

კვარტალნი. კიდევ ნუ სჯავრობთ, ატარა გულის მოსაბრუნებელი დასალევი უბძანეთ მოიტანონ.

ნიკოლოზ (მაღლა) ახ! უკაცრავათ დამავიწყა დავიდარაბა, ეხლავ ეგ წუთაში, [გაზძახებს] ბიჭო ბასილა!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 17.

ნიკოლოზ და ბასილა.

ბასილა. (შემოვა მთვრალი ფარფატით) რა. რა. რა. რა. ჩე ბავს ალაც?

ნიკოლოზ, წადი ზაკუსკა ჰაზარ ქენი, მაგრამ ჰალა ჯერ ოტკა მოიტანე.

ბასილა. ეხლავ. ემ საათში (გავა ფარფატით]

კვარტალნი. (დაჯდება) ოჰ, დავიღალე.

ბასილა (შემოაქვს ცარიელი ბოთლიკა და სტაქანი სტო-

ლზედ დადგამს) ესეც თქუენი ოტკა და სტაქანი.

ნიკოლოზ. გთხოვთ მიირთოთ ოტკა აფიცაროჯან?

კვარტალნი. კარგი იქნება (ასწევს ცარიელია) ამაში რა-ეშმაკია, ხეიამ ცარიელია

ნიკოლოზ. ე! ეს ინჩკრაკე? ბიჭო ეს ვინ ჩაცეცხლა, ამდენი რაიქნა შე ჰრამზადო, ჰარამზადის ლაკუტო

ბასილა. რა.. რა.. რა ეგა! მე არ დამილევია ლა.. არც ერთი კაპლი, შენმა მზემა, ეს თავი არმამიკვდება, [ხელს უშვერს ალას თავზედ)

ნიკოლოზ აი, გაგიხმეს ეგ გოგრა! სწორეთ შენ ფიცუ-ლობ? ჰალა ჯერ სირცხვილია და მერე მიყურე თუ რა გიყო; გაეთრიე გრაფინკა შკაფში სამსეა გამოიტანე?

ბასილა. მართლა, სამსეა! ეხლავე მოვიტან. [წავა)

კვარტალნი. როცა დალეული ვარ ხოლმე ოტკა მომა-ნდება ისე როგორც ცხონება.

ბასილა. (შემოაქვს გრაფინკით წყალი სტოლზედ დადგამს და ფარფატობს] მამიტანია ალა, გრაფინკა ესეც სამსე, თუგი-ნდა ნხე რომ სამსეა.

ნიკოლოზ. უკაცრავათ, მამა ვიცხონდა აფიცრო, ამ ახმ-ახმა შემარცხვინა, გთხოვ მიირთვით.

კვარტალნი. ნუ სწუხდებით, რა თქმა მინდი (დაასხამს და ყველას თავს უკრავს გადაუსვამს დამტკბარუნებს და იქ თ) ახლა წყალი? აი მეგაჩვენათ თქვენმა სალოცავმა სწორეთ წყალია! აი ჩემი ცოდო გკიდოთ.

ნიკოლოზ. ყიზლარის ოტკა არის აფიცარო; არ მოგეწონა თუ?

კვარტალნი. [იქით] ყიზლარისა არა მენმა სიცოცხლემა თეირანისა არ გინდა. ბაჯემ თქვა მტკვრის ოტკაა თქო? ეხლა ჰკრას გეტყვი (იქით) თუ სულ ყველას არ ვასვი არ იქნება დაუსხამს სამს მიირთვით სამ გამოართმევს და ცერემონის თავის კვრით გადაუსვამს და იქით ფუ? ისე ღმერთმა კარგი მოგცეთ, როგორც ეს არის კარგი.

ბასილა. [ფარფატით მიახლოვდება და იქით] იტიელი, მეც ეხლა მინდება, უთუოთ კაი ოტკათ გადიქც წყალი.

ლევან. (დაისხამს და დალევს იქით) ეს რა არის საწამლავია თუ სხვა რამ! არი წყალია! არც მე ვიტყვი. (ერთმანერთს შესცქერიან]-

კვარტალნი. [დაუსხამს) შენც მიირთვი ხაზეინო.

ნიკოლოზ [დალევს და დაიღრიჯება] ვაი ეს რა არის, წყალი, ვაი შენს ნიკოლოზსა! ვაი შერცხვენილსა! (მინჯამბ და სხვანი იცინიან] სწორეთ წყალია, წყალი! ოტკა დაულევიათ და წყალი დაუსხამთ? (ბასილას) ოჰ! მე ახმახო მე, შე ჰარამზადავ!

ბასილა. მე..არ. ფერი, ცოტი დავლიე..

ნიკოლოზ. როგორი ცოტაა! თავს ველარ ერევი ლამის ძირს დაგივარდეს ეგ ოხერი თავი, ფეხებიც ველარ დაგაქვს. შე, მე მთის დათვო. ცეცლი დალიე და ნავთი.

კვარტალნი. აი კარგი ლაქია! ეი ბრატეც! შენ კარგა ჯანბაზობ?

ბასილა. ალა !სულ თორმეტი სტაქანი დავლიე მეტი არა.

ნიკოლოზ. ტერ ასტუაც, ამ ახმახისაგან, რა ცეცხლში ვარ, დაიკარგე აქედამ შე-შე ყურუმსალო! ლოთო!

ბასილა. ალა რა დავაშავე იმისთანა, რომ აგრე ჯაერობ.

ნიკოლოზ. ხმა ჩაიწყვიტე შე ახმახო! [ძრიელ გაჯავრევით).

ბასილა. (ფართატით) რათ მიწყრები ალა, ქორწილში ლხინი უნდა.

ნიკოლოზ· ვა, ხათაე! გეუბნები დაიკარგე მეთქი შე ჰარამზადა [მივარდება გაჯავრებული წაჰკრამს და კისრის ცემით გააგდებს და გაჰყვება)·

კვარტალნი. კაი ოინია, ამაობაში მე ლამის სული წამივიდეს·

ნიკოლოზ· [შემოიტანს ოტკას და სტოლზედ დაუსხამს უკაცრაოთ მამა გიცხონდა აფიცარო! მიირთვი (დალევას ველარ მოასწრობს).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 18.

იგინივე, დესეტნიკი და მერე ოსანა·

დესეტნიკი. [კანვერტს მიართმევს საჩქაროდ) აი ბატონო, პასუხი ღვდელმა მოგწერათ·

კვარტალნი. ყოჩაღ, აი ეს იქნება საქმე მართალი და ჭეშმარიტი. ]ოსანა შემოდის) თქუენც კაი დროს მობძანდით? (დესეტნიკს) პირათ რა დაგაბარა?

დესეტნიკი· ბატონო! დამაბარა, ეს ყმაწვილები და ამათი გვარი და სახლებში არათუ ვიცოდე, ანბათაც არ გამიგონიაო,

საამ. აკი გითხარ.

ლევან. საქმე ცხადია.

ოსანა. რატომ არა გრცხვენიან დესეტნიკო, რო ტყუილს ამბობ·

ნიკოლოზ ეა, გიჟე!

დესეტნიკი. აბა წიგნმა გამამტყუნოს, თუ ესტყუი.

კვარტალნი. (ბასილა] სმენა იყოს [გაჩუმდებიან, გახსნის და წაიკითხავს] მოწერილობისა მებრ თქუენის მაღალ-კეთილშობილებისა მივიღე ცნობა ეითომ თავადს საამ გოდერძაშვილზედ დამეწეროს ჯვარი, რომელიცა არა ვუწყი მე სადა და როდისა იყო ეგე, გარდა ერთის ტფილისელის

ამირანიძისა, რომელსაც დავსწერე ჯვარი და უფალს გოდერძაშვილსა, არც ვიცნობ სრულებით და არც დამიწერია ჯვარი, წმინდის გიორგის მღვდელი· (ამის კითხვაზედ დესეტნიკი მიდა და სულ დასცლის ოტკასა] ესეც მე მერგებაა.

ლევან. (ოსანას) ახლა რაღას იტყვი, სტყუი თუ არა?

საამ· უფალო, ახლა ხომ ნახე ჩემი სიმართლე, დასარჩობია, თუ არა ეს დედაკაცი.

კვარტალნი. [იქით] მე ვერა გამიგიარა, როგორ ეშმაკურათ ყოფილან, ამოუწყვდეს ცოლ-შვილი, ვინც ამისთანა გაუგებარი საქმე მომანდო, აბა რაუყო!

ოსანა. აფიცარო? მღვდელი იანლიში მოსულა, სწორეთ ეს არის ჩემი ქმარი ახარ ჩამაბარე რას მემართლები ჩამაბარე და!

საამ. წადი დაიკარგე ეშმაკებთან ჯოჯოხეთს კიდევ იქით. ეგ შენი საძაგლობა აქ არავის გადასდო.

ნიკოლოზ. აფიცარო აქ მობძანდი [გაიხმობს და ჩაუყრის ფულებსა) ეს სამი ოქრო შენი ფეშქაშე და დავა დარაბა კი მოშალე მამა გიცხონდა ქუ მატალ აფიცარო.

კვარტალნი. ძალიან კარგი იენება; [გამოათმევს) რაღას აგვიანებდი, აი ეხლავ ემ წუთში, (დაფაცურდება ოსანას] აი ჩემ სამართალი, რადგანაც ვერ დაამტკიცე ჯვარის წერა ამზედა. ამისთვს სიმართლე არა გაქვს (აიღებს ქუდსა წასასვლელად) ერთი ოტკა დაელიო, [ბოთლს ნახამს) აი, ჩემი ცოდო გეკითხოთ, სულ დაუცლიათ.

ოსანა. დამტკიცება მეტილა იქნება ოთხი წელიწადა ერთათა ვართ.

საამ. რა, რა (აფიცარს) გამაცალეთ ეს დედაკაცი, თორემ მოეიდა ყელში სისხლი.

ოსანა. აფიცარო, გამიგონე!

კვარტალნი. [გაამევბინებს) შენი თავი არა მაქვს ვილაც ტუტუცი ხარ, სოდით ედაეე რახან არ დაიშლი (გაგეა მუაზედ დესეტნიკით].

ოსანა, აფიცარო რამეს გეუბნებით, გენაცვალეთ, რა უსამართლობაა ქმარს მართმეეენ (დაიყვირებს) მიშველეთ, მიშველეთ!

ნიკოლოზ. ეა, ინჩხაბარე! ხელი არ აილებ, ერთი კიდევ დაეიდარაბა აკეთებ.

ოსანა. (დაიყვირებს) არ აეილებ ხელსა ჩემს ქმარზედ!

## გ ა მ ო ს უ ლ ა 19.

იგინიეე რიმსიმე, ლალო და ტასიკა.

რიმსიმე. რა ღრიანცელია!

ნიკოლოზ. აფიცარი ამას გაამტყუნა, ჰამა არ მიდის (ოსანას] ჰუჯათი ნუხდები წადი! (შეოტევით).

ოსანა. არ წავალ მეთქი არა, ჩემ ქმართან უნდა ვიყო.

ტასიკა. ეური შენ თიეზსა, ძალიანაა თუ, არ უნდიხარ, რომ მოკვდე!

ნიკოლოზ. მამ არ გამეცლები, რა გწადიან,

ოსანა. ესე მინდა გაექვაედე არ წავალ.

ნიკოლოზ (ენით გააჯავრებს] ა, ა, ა, ა!!

საამ. [გამცხარდება) გამიგონე ქალბატონო, შენ გეტყობა ავათა ხარ — სიც — ხ — ეს ძალა დაუტანებია, ტვინიც აგრეეია, და რადაებსაცა ბოდამ და აქამდისინ ვონს ვერ მოხველ, რომ მე ქმარს მეძახი?

ოსანა. მე ავათ არა ვარ, (ტირილით) თავს მოვეკლამ და არ დ განებებ.

საამ. [გააშეებინებს] ჩუმათ! აი, გამიგონე, ცუდი არ იქნება, აფთიაქას წამალი მიიღო და მორჩე ქრმის ნდომის სენსა,

ოსანა, მე არა მიჭირსრა.

საამ. (დაიყვირებს] ჩუმათ მეთქი, ავათა ხარ! სწორეთ ავათა, ავათა, მა რა არის ეგ შენს თავსა, ეხლავე წაიღე რეცეპტი დოხტურისა.

ლევან. დიახ, დიახ, წამალი ჩქარა, წამალი სამკურნალოა მისწრება.

ნიკოლოზ. მამ ვა, წამალი კარგი რამეა და.

ოსანა, მე ავათ არა ვარ.

საამ. [გააშეებინებს( ჩუმათ! თუ ავათ არა ხარ, მა რას გადარეულხარ.

ოსანა (შიშით და ტირილით) საამ ჩუმათ მეთქი! კიდევ ქმარი ძალათ შერთვა გაგონილა, მარა ტუტუცობაა! თუ სიცხისაგან არეული არა ხარ, გონება დაგფანტვია, მოვეწონე თუ უკაცრავათ, მე შენთჳს არა მცალია ვერა ხედამ აი ეხლა ვირთამ ბრწყინვალე მნათობსა, ხომ გესმის? (ახლო მიდის და უკან, უკან აგდებს ] მე გირჩევ მეტს ნუღარ გვაწუხებ დრო არის თავი დაგვიკრა, ღამე მშვიდობისა გვითხრა, გასწი დაიძინე ეშმაკებთან დრო არის, რომ ზომამდეთ ჯოჯოხეთის გზასა, გასწი, გასწი, გელიან ჩქარ!. (კარებამდინ უკან, უკან და მერე ჰკრამს ხელსა და გააგდებს·

ოსანა. (მალზედ დაიყვირებს) ვაი მე, ვაი მე, მიშველეთ. ჩემი ქმარი სხვას ირთავს, მიშველეთ, გენაცვალეთ, მიშველეთ (წავა ყვირილით]

საამ. (მობრუნდება იქით] უჰ! კეთილი საქმე მოხდა, რომ გავაგდე, ამასთანავე ძალიან იაფათ მოვრჩი და ვნახოთ ამას იქით რა იქნება. ]ნიკოლოზს) ხათაბალაც აგიტყდებო რო იტყვიან ეს არის წაიღეს ჯანაბასა, და ჩვენ, რომ ჯვარი დავიწეროთ ცუდი არ იქნება·

ნიკოლოზ· მეც ეგ უნდა მეთქვა, ამთენი იჩხუბოს სანამ დავარდეს ჩემი სიტყვა, სიტყვაა! (ლალოს) მოდი მგლო, ჩემო კუჭო, ჩემო თაის გულო, ჩემო გაზაფხულის წოლბათო (საამს ხელი ხელს ჩაუთვლის] აი კიდევ ჩამიბარებია, ნაკურთხი აყავით ორივემ, და მო მობეთ სამი ვაჟი და ერთი ქალი, ამინ თქვით და ვა.

სა:მ· მადლობელი ვარ·

ლევან. (ამ დროს სტუმრები, საზანდრები შემოვლენ ნიკოლოზას). რადგან საათი ესე შეიქმნა უბედნიერესი და უბწყინვალესი თქუენი ქალისათჳს და თქუენი სახლისა. ამისთჳს გმართებს იმხიარულოთ. უბრძანეთ დაუკრან მხიარულებისა·

ნიკოლოზ. ვა! მაშ რასა ვიქმ ეხლავ (დაფაცურდება აქეთ იქ·თ საზანდრებს იქ მსხდომთა) აწაელი დჰკარით რალას ელით საკრავზე ქალები და ვაჟები ლეკურს ითამაშებენ და ფარდა დაეშვება.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი 2, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა·

შედგენილი იოსებ ელიოზოვისაგან.

## ო რ ი ო დ ე ს ი ტ ყ ვ ა შ კ ო ლ ე ბ ზ ე.

რამდენიც დრო მოდის, იმდენი ხალხიც წინ მიდის; რამდენიც დრო გადის, იმდენი ხალხი უფრო და უფრო იცვლება; უფრო და უფრო წინაურდება, პირველი დაწინაურება ხალხისა არის სწავლა, ვინ იფიქრებდა. საქართჳელოში, სადაც სწავლას და მეცნიერებას ღრმად ეძინა მამა პაპების დროსა; ღრმად განისვენებდა და თუ იყო სადმე აქა იქა მონატრებში ისიც უხეირო,—ახლა აქე პირველ ხარისხზედ აიწოდა. ძველმა კაცებმა იქნება ეს ჩემი ნათქვამი საწყენად მიიღონ, მაგრამ სიმართლე წყენას არ დამიდევს,—ყოველს დამყაყებულს, დამყაყებული და დაობებული უყვარს და იმას ეტრფის. ადრინდელს დროში, ადრინდელს უწოდებ, საქართველოში ქართჳელთ მეფობის დროს, რაც სწავლა ჰქონდა. ახლანდელის ენითა ვსთქუათ, ჩუჱნ პირჳელს მინისტრებს, ის სწავლა აქუს ახლა, უკანასკნელს სოფლის ყმაწვილს. ეს რა მიზეზია. ის მიზეზია, რომ ადრე არ დასდიდნენ სწავლას, იმათი სწავლა პირველი თოფი და იარალი იყო [*] იმათი (სწავლა, კოჭების თამაშობა გახლდათ; ვისარ გაუგონია და თუნდა არ გაეგონოს, ბევრნი მოსწრებიან, და თითონ

(*] რასაკვირველია თოფი და იარაღიც საჭირო იყო, მაგრამ სწავლა კი უფრო, სწავლა ყველას უკეთეს დაჰბადებს.

ამ სტატიის დამწერიც, ორმოცდა ათის წლის კაცები დამე-ტისაც, ქუჩებში კოჭებსა თამაშობდნენ. მაშ რა იქნებოდა. ხალხს რა მეუძლიან უთაოთ, თავი უნდა ჰყვანდეს ხალხსა და ის თავი უნდა ზრუნავდეს, რომ ხალხმაც იმას მისდიოს; თვითონ ჩუენი თავები რომ არას დავედეევდნენ, ჩუენ რას ვისწავლიდით, კარგს და კეთილს რას გავაკეთებდით; თითონ ჩუენი ნეტარხსენებულნი მეფენი ცუდ უბრალო საქმეს უნ-დებოდნენ და ერთმანეთსა სწეწამდნენ, ჩუენ რა კეთილს და კარგს მოგვიტანდნენ. როგორც უხეირონი იყვნენ ჩუენი მოთაოსნენი, ისე უხეიროთაც დაგვტოვეს.—ღმერთო ადიდე რუსეთი, ღმერთო განაძლიერე, რომ არ შეგვესწრებოდა იმ მწარედ ჭკუით გალატაკების დროს, მწარედ უსწავლელობით დაცემულს დღეს ჩუენი კვალიც აღარსად იქნებოდა. — აბა ახლა მივხედოთ, ამ ჩუენს ახლანდელს ოქროვან დროს ოთხ კუთხივ და ვნახოთ კარგათ, თუ სწავლა, რა გახურებულია. სად შეიხედო რომ არა სწავლობდნენ, რომელს კუნჭულშიაც შეი-ხედავ, ყველგან შკოლაა გახსნილი; ვისის მიზეზით, საქარ-თუელოს ძველის, დამყაყებულის თაოსნების მიხედვით, არა? ღმერთო განაძლიერე რუსეთი, კიდევაც და კიდევაც ვიტ-ყვით, გულწრფელებით, ღმერთია მოწამე, — აი, ბატონო, რაც ჩუენი ძვირფასი ნამესტნიკი, ჩუენი საყუარელის კე-ლ მ წ ი ფ ი ს ძმა, მისი უმაღლესობა მიხეილ ნიკალაევიჩი მობძანებულა, რამდენი ხანი იყოს;—ხუთი, თუ ექვსი ვსთქუათ წელიწადი,—აბა ამ მოკლეს დროების განმავლობაში, რა-

მდენი შკოლა დაფუძნდა, მარტო ქალაქს ტფილისში: ქალების გიმნაზია, ქალების შკოლა, კიდევ შკოლა, კიდევ შკოლა, — სადაც კი გრუზსთ, ავლაბარში, სოლოლაკზედ, გარეთუბანში, კუკიას, ვინ იცის რამდენი, — როგორ არ უნდა გულმხურვალედ ალვავლინოთ ცად მიმართ ლოცუა-კურთხევა, რომ დილით რა მიდიხარ ჩემო მკითხუელო ერთს ერთს ქუჩისაკენ, ხედავ ბაშვები, ქალები, აბგა კალში მიცუნცულებენ სწავლისაკენ; იმათგანში, ზოგი პურისმცხობელის შვილია, ზოგი მეწვრიმნისა, ზოგი ვინ იცის ვისი. აი, ჩუენი მთავრობა. — მთავრობა ამას ანბობს, ჩუენთვს სულ ერთნი ხართო, მდიდარი და ღარიბი, დიდი კაცის შვილიო, ვინც ისწავლის პირუელი დიდი კაცი ის არისო, ამაზედ მეტი მართლ-მსაჯულება შეიძლება! ღმერთმა როგორ არ უნდა უშველოს მიზეზს, ამ ხალხის ასე ბედნიერების მიცემისათვს. — აბა ძველი მამა პაპური დრო ყოფილიყო: პეტრია შვილი ვინა გდია ჩემს შვილს გვერდით მოუჯდესო. აი, ასე უბედურ მდგომარეობაში იყო ჩუენი ხალხი; აი ასეთი სიმდაბლე ეწერა ყოველს ხვედრისაგან დაცემულს, — რა მარტო ქალაქ ტფილისში, ყოველგან გაცხოველდა ჰსწავლა, ჩუენის დიდის ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს წყალობით, — დაიარე მკითხველო რომელიც სოფელი გინდა, ყველგან არის ახლა თითქმის სასწავლებელი. — ამ სტატიის დამწერსა მქონდა შემთხვევა და ვნახე ახალციხის უეზდის ზოგი ერთი სოფლები, სადაცა, სუფთა ოთახებია, შიგ

რამდენიმე სტოლები აწყვია, შემოხვევიან თათრების პატა-რა ბიჭები და სწავლობენ, არა თუ მარტო თავიანთ ენას, რუსულს უფრო, და საკვირველი უფრო ეს—ქართულ-საც.—მე შემემთხვა იმათ მამებთან ლაპარაკი და განგებ ვკითხე, რა მიზეზია რომ რუსულსაც ასწავლით შეთქი? იმა-თგანმა ერთმა, რომელიცა იყო ნაცვალი, მომიგო. რო-გორ თუ რა მიზეზით.—ახლა ერთი რუსის მწერალი გვი-ჭირავს, სასოფლო საქმეებს, ლაპორტებს ნაჩალნიკთან იმას ვაწერანებთ, სოფელი ჯამაგირს აძლევს ოც თუმანსა წე-ლიწადშიო, ჩვენი შვილი რომ ისწავლის, ეს ოცი თუმა-ნიც სოფელს დარჩება, და სხვა საქმეშიაც გამოგვადგებიან როგორც ჩვენ, ისე თავიანთ თავსაო. როგორც ყური მოვკარი, ეს აზრი ჩაუგონებია, ახალციხის უეზდის ნაჩალ-ნიკს რატიევს, რომელიცა როგორც დავრწმუნდით, დიდა-თა ცდილობს არა თუ მარტო თავის უეზდის მცხოვრე-ბელთ ხალხის სწავლისათვს, სხვა ბევრნი კარგი და კეთი-ლი საქმეც დაუთესია, რომლის აღწერა, ამ სტატიას არ ეშასაბამება, რადგანც ამ სტატიას ვწერთ, მხოლოდ შკო-ლებზედ—აი, რას ნიშნავს, თავი! თაოსანი რომ ზრუნავს ჩვენის კეთილმდგომარეობისათვს, თაოსანი რომ ფიქრობს კარგი და კეთილი მოუტანოს ქვეყანასა, იმ თაოსანის მო-სამსახურენიც იმათ სურვილს და ნებას ასრულებენ, ღმე-რთო გაუმარჯვე ახლანდელს დროს წარმატებას და ამ წარმატების მიზეზსა—ან რა მარტო შკოლა. მივიხედოთ

გარეშემო რა ანბავია. სადაც ადრე, კისერს ვიტეხდით, იმდენჯერ ცხენი წაგვექცეოდა მგზავრობაში, იქ ხედავთ ისეთი გზა მიდის, რომ ფეხითაც სასიამოვნო არის სიარული. ჩუჱნ რომ თვალი შეჩვეული გვაქუს, თითქოს არა ფერიო. აბა ჩემო კეთილო მკითხველო, ახლა მიბრძანდით, ჩუჱნ ახლოს მეზობლათ, რომელსამე სახელმწიფოში, თუნდა მაგალითად, რადგანც უფრო ფუყე სახელოვანია, ოსმალეთში. ასეთი გზები არის, ჰსწორეთ სააქაოს ჯოჯოხეთი. სწავლა ისეთი, ღმერთმა ნუ მოაკლოს თქუჱნს მტერს. იქაურმა ჩინოვნიკებმა, ზოგმა ერთმა, როგორც თჳთან ჩუჱნა ენახეთ აშაზედ მეტი რაღა ღუთის რისხუა იქნება, წერა-კითხვა არ იციან. იმათი სჯა ხომ, ნულარ იტყვით, ჩუჱნი მენახშირე გლეხი უკეთა სჯის და უკეთ ლაპარაკობს. — ღმერთო, შენ ადიდე ჩუჱნი რუსეთი, ღმერთო შენ განამტკიცე ჩუჱნი კავკაზიის ნამესტნიკი მიხეილ ნიკოლაევიჩი, რომ ასე აღყვავებაში მიდის ჩუჱნი ქვეყანა. რკინის გზა კი დამავიწყდა. არა უშავსრა, ამაზედ მერე იყოს. —

აზიის ოსმალეთში მოგზაური.

## ს ო ფ ლ ი ს   ს ც ე ნ ა.

— ოჰ თედოს გაუმარჯოს, ჩუენს მამასახლისსა.

— აი გადღეგრძელოს ღმერთმა ჩემო ბატონის შვილო?

კაცო საკვირველია შენი საქმე!

როგორ, რაზე ანბობთ საკვირველებას?

იმაზედ რომ აგერ, სწორეთ სამი წელიწადია ეგ თხილის სახრე იღლიაში გჩრია და არ იშორებ· ამასთანავე ვინც-გამარჯობას გეტყვის შე დალოცვილო უწინ გამარჯობის-მაგიერათ მაგ სახრეს ატაკებ ხოლმე, ზოგს გვერდში და ზოგს თვალში, და მერე ასე ეუბნები გამარჯობასა, ეგ როგორია

— ეჰ, თუენ დალოცვილო, ახლა გინდათ, რომ ფილო სოფიო ვიყო. მაკრამ არა, ესე მალე ვერ გავხდები.

ძმაო მაგის მოშორებას რა ფილოსოფოსობა უნდა, აი თუ დაიჯერებ ასე უნდა მოიქცე: შენ როცა კეთილ მობილი კაცი შემოგეყაროს; ეგ სახრე თუ ძალიან გიყვარს და ვერ-მოგიშორებია, ძირს მაინც დააგდე მინამ გელაპარაკებოდეს, და მერე ისევ როგორც გერჩიოს.

ჩემი სახრე ვის რას უშლის, ან ვის რა დაუშავა?

როგორ თუ ვის რას უმლის? პირველი, რომ მე კინალამ მარცხენა თვალი გამომთხარე მაგ სახრით.

ოჰ, მაშ მაგაზედკი ბოდიშს მოვიხდი, რომ მაპატიოთ-მარად ბოდიშის მოხდას და იღლიაში ამოჩრას ის არა სჯობია თუ არა?

თედო. აკი წელანვე მოგახსენე, რომ ფილოსოფია არა ვართ მეთქი. თუ ბატონო ჩვენი გლეხები თქვენსავით ვიქნებით განცხრომილი, და აღარც ხარჯებს მივცემდით. გარდა ამისა ჩვენც სამსახურში ვიქნებით, და კელმწიფის წყალობით და შემწეობით ჯამაგირები გვექნება. მაგრამ ხომ იცით გლეხი რაც არის!

სვიმონ. მაგას რათ ანბობ ჩემო თედო. გლეხი და კეთილშობილი ვის გაუყვია სწავლით, კარგათ გაიგეთ ეხლა სწავლაა. მე კეთილშობილი ვარ, აგრეთვე ჩემზედ უდიდესნი მრავალნი არიან ღირსეულნი, მაგრამ ბევრი დაბალი ხალხი სჯობია სწავლით, ზოგი ერთს კეთილშობილს და ვინც ნასწავლნი არიან, იმათზედ ვერას ვიტყვი ამისთჳს, რომ იმათ საზოგადოება იცნობენ.

თედო. არა მე მაგას არ დავრწმუნდები, ამისთჳს რომ კეთილშობილებმა თუნდა წიგნიც არიცოდეთ, მაინც კიდევ ჩვენს ნასწავლსა სჯობიხართ.

სვიმონ. მაგას მართლა ანბობ, რომ საქართველოს გლეხები რაც უნდა ნასწავლი იყოთ ვერ დაგვემჯობინებით, მაგრამ ერთი ქვეყანა არის, რომ ჩვენს საქართველოს

ნასწავლ ხალხთ გადააჭარბებენ ზოგი ერთი ბუნებითი ნიჭიერებით.

თედო, ისეთი რა ქუეყნის ხალხნი არიან, რომ ქალაქში ნასწავლ ხალხთ გადააჭარბონ თავისის სწავლით?

სვიმონ. ის ქუეყანა არის, რომელს ქუეყანაშიაც მოუგონიათ სხუა და სხუა მაშინები, პარახოდები, რკინის გზა ეხლა, რომ აკეთებენ, ტელეგრაფია, და სხვანი მრავალი. გარდა ამისა ჩუენ გვესმის, რომ ვითომც ასოების ასაწყობს მაშინასაც იგონებენო. ახლა შენ მითხარი, ისინი გლეხები და ჩუენ კეთილშობილნი ხალხნი.

თედო. მაშ როგორცა სჩანს სამსახურში არ იქნებიან, და იმათი ფიქრი სულ ის იქნება რა მოიგონონ?

სვიმონ. როგორ არა სამსახურიცა აქესთ და წმინდათაც ემსახურებიან, ასე, რომ როცა სამსახური აქესთ მაშინ ჩაიცმენ ვაჟნის ტანისამოსს, გაველენ პარადში უკამანდებენ თავიანთ სამსახურს, მაშინათვე დაბრუნდებიან პირდაპირ შინისაკენ, ტანისამოსს გამოიცვლიან, სხდებიან და სულ ფიქრი და გონება იმათში აქვს რა მოიგონონ, რათა სახელოვანი დარჩნენ: ამასაც გეტყვი, ვინიცობაა რამ დაიწყეს გასაკეთებლათ და ცოტა რამ შეეშალათ, სხვასა ჰკითხვენ, რომ როგორ[illegible]ეედროს. იქაურნი ისეთი ღვთის ნიერები და ერთმანეთის მოსიყვარულენი არიან, რომ მაშინათვე მიუსხდებიან იმტენს აცოდილებენ თითონაც ორი დღით პურ უჭმელები დაალაშებენ და მიავანებენ. მაგრამ ვინც წინათ დაიწყო ისევ იმას გაუგდებენ

ხოლმე ხმასა და თითონ კი არა კვეხულობენ, რომ არა ჩუენ ვასწავლეთო და იმისათჳს გააკეთაო. მაგრამ ჩუენკი ისეთი შურიანი ხალხნი ვართ, რომ რაც უნდა უკანასკნელი რამ ვიცოდეთ არ ვასწავლით ერთი მეორეს, რაც უნდა გულსმოდგენით გვთხოვონ. არა რათ ვასწავლოთ, მამა უცხონდაო. თითონაც ისწავლოსო, აი ჩუენს საქართუელოში ესეთი შურიანი ხალხნი არიან ზოგნი.

თედო. ოჰ ღმერთო ეს რა კარგი გავიგონე, ნეტავი თქუენს ახლოს ვიდგე რომ მაგისთანა ანბები წყეიტყო ხოლმე. მაშ როგორცა სჩანს კარგათ მარიგებთ, ეს სახრე ხელში აღარ უნდა ავიღო, და როცა თქუენთან შემოვიდე, ეს ქუდის ჩ-ჩიც კარებთან უნდა დავაგდო და ისე გიახლოთ ხოლმე; ბატონო! ამასკი მივხვდი მალე, დღეის შემდეგ კარგათაც მოვიქცევი. მაგრამ, იქ როგორღა წავიდე, რომ მეც იმათი ცოტა რამ სწავლა მივიღო, და როცა მოვიდე თქუენ სპაკადრისად გელაპარაკოთ ხოლმე.

სიმონ. თქუენისთანა ხალხს ბევრს მოურბილდება, რომ იქ ვერ წავიდნენ და ვერც იმათ სწავლას მიიღებთ თუნდა სამოცი წელი იყოთ. ამისათჳს, რომ ისინი ბუნებითი ნიჭიერ[illegible]იან, ჩუენ შორის სად მივდივართ აი შენ, მამასახლისი ხარ, გესმის ქართული ენა, იცი ქართული წიგნი ცოტა ოდენი და აბა წაიკითხე კანტორა რა ბძანებასა გწერთ.

თედო. მე არ ვიცი რა ბძანებასა გვწერენ?

ერთის სიტყვით არამც თუ ბძანებას, მის იმპერატორების დიდებულებასა სურს, რომ თქუენ განშორდეთ მაგ ბრიყულ ქცევას, გასხნათ შკოლები, რომ თქუენმა შვლებმა ისწავლონ წიგნი და მიიღონ უმჯობესი მიხვრა-მოხვრა და ქცევით ლაპარაკი. ამისათვს, რომ ვინცობაა ერთ დროს შეემთხვენენ კეთილ-შობილ სახლში, სიტყვის მოხერხება ჰქონდეთ და შეეძლოთ ღირსეული ლაპარაკი. ამასაც გეტყვი: რა ბატონობა გადაკარდა, ხშირათ ძრიან ხოლმე თქუენი გლეხები ჩუენს კანპანიაში, მაგრამ როცა დაველაპარაკებით ხოლმე, ისინი შესაბამს პასუხს არ გვიგებენ, და მხეცურათ ბოდვას მოჰყვებიან და იმტენ იფხანენ თავსა, რომ მინამ ქერტლით იქაურობას აავსებენ. აბა იფიქრე ჩემო თედო, მე რო გითხრა სად იყავი, შენ რა უნდა მითხრა?

თედო. მეც ბატონო, მაგის პასუხი უნდა მოგიგო.

ჰო და მეც მაგას ვანბობ, უჩიტლები იშოვნოთ, სასწავლებელი გასხნათ და შვლები გაზარდოთ, რომ რამე ვსმოდეთ.

თედო. მაგას სუყველას კარგათა ამანებთ მაგრამ, — და აღარას იტყვი მეტს.

სვმონ. ჰო, სთქვი რაც უნდა გეთქუა, „მაგრამ" რას მოასწავებს?

თედო. იმასა, რომ მაგალითებრ მე მყავს ერთი შვლი ათის წლისა, იმას მეუძლიან სახრის დაჭერა, უღელზედ და-

ჯდომა, აგრეთვე მწყემსობა საქონლისა; თავის შრომის ფასი შემოაქუს წელიწადში სულ უკანასკნელი თუტხმეტი კოდი პური და სხუანი ახლა შკოლაში რომ მივცეთ რა იქნება ჩუენი ცხოვრება. ამასთანავე ჩუენმა შვილებმა წიგნი რომ ისწავლონ აქ აღარ დადგებიან, მაშინ თქუენ უყურეთ განათლებულ ქალაქში რამდენი ხანიც უნდა იყვნენ აქეთ აღარ მოიხედამენ, მაშინ თავისი ქუეყანა დაავიწყდებათ და დედ-მამაც. ასე, რომ ოცმა წელმა განვლოს თჳს დედ-მამას აღარა ნახამენ და რათ გინდა ესა. როგორ მევეელიოთ ჩუენს შვილებსა, რომელნიც მოხუცებულნი იმათგანა ვცხოვრობთ.

სვიმონ. ძმაო თუ კი ათი წლისა არის და ცხოვრების ნიჭი აქუს ის არა სჯობიან, რომ წიგნი ისწავლოს, ნასწავლი შევიდეს სამსახურში, თითონაც სახელოვნათ იცხოვროს და შენც გასახელოს, ის არა სჯობიან, მინამ ნაგლეჯათ სიარულსა.

თედო. სულ კარგათ ბძანებთ, სულ კარგათა სჯით, მაგრამ ამასაც ანბობენ: ვითომც ჩუენს შვილებს წიგნი უნდა ასწავლონ [redacted]

სვიმონ. მე ნუ მაშიკვლები, თუ თქუენი შვილები არ წაიყვანა, კელმწიფე ომში ველარ გაიმარჯვებს? აბა რას ანბობ, ვითომ მამასახლისი ხარ და გამოცდილი ხარ; ეხლა ესე გეტყვი, მე ყეყეჩო ყური მომიგდე რა გითხრა.

ჩუშნს დიდებულს კელმწიფეს იმდენი ჯარი ჰყავს რო იმათ პურის ჭამას ძლიეს ასდის. აბა ერთი მითხარი თქუენი შვლები რათ უნდა, ან რა მეშვეობა შეუძლიან ან როგორ იომებენ. ამასაც გეტყვი; ესთქუათ კელმწიფესთვს საჭირო იყოთ თქუენცა და თქუენი შვლებიც, პატრონისათვს უნდა მოემზადოთო, რომ ბძანება მოგივიდეთ, მაშინ რა გეთქმით, უარს ხო ვერ იტყვით?

თედო. ვერა, ვერ ვიტყვით, ეჰ რაც სხუასა ის ჩუენ.

მამასადამე რა ბევრსა ლაპარაკობ, რომელნიც, რომ სულით ხორციამდინ კელმწიფისა ვართ. რატომ მადლობელი არა ხართ, რომ სასწავლებლების ნებას გაძლევთ, გახსნათ და შვლები გაზარდოთ, ეს სულ კარგი მაგრამ, სხუას რასა იქ, ან რას იტყვი ახალ ამბავს, ან სად იყავი აქამდისინ?

თედო. აქამდისინ სადაც ვიყავი, რომ შეიტყოთ სწორეთ გესიამოვნებათ, აგრეთვე ბევრს იცინებთ.

სვიმონ. ისეთ ალაგას სად იყავი, ან რა სანახავები ნახე, რომ შესიამოვნოს და ვიცინო კიდეც. როგორ, სად, აბა დაიწყე?

თედო. აი სად ვიყავი: მე წაველი ქალაქში და დავრჩი იქა კარგა ხანი. უჰ ღმერთო! რა მშვენიერი ქალაქია და რა სიამოვნება მივიღე ქალაქის ხალხისაგან და ჰაერისაგან, სწორეთ სანაქებოა.

სვიმონ. მართალია ქალაქში ბევრი სანახავებია, მაგრამ

უფრო რა ნახე სკვირველები, ან რა სიამოვნება მიილე ხალხისაგან. რაო, მარადღე მიწვეული ხომ არ იყავი მათთან ბალში და ვეჩერში?

თედო. რასა ბძანებთ, რა გიმნაზიასთან გაეიელიდი ხოლმე, ასე მეგონა სამოთხეში ვსეირობდი. თუ როგორ, ბატონო ქალებს რომ შევხედამდი ხოლმე გული ათასფერად მიცინებდა, მე ვცდილობდი იმათ მოერიდებოდი მაგრამ ისინი უფროზედ მეხახუნებოდნენ, ზოგი ხაბარდას წამომდებდა ხოლმე და ზოგი რაღაც გრძელი ფარცხიეით კაბა აცეიათ, იმითი მტვრიან წალებს გამისუფთავებდნენ ხოლმე. ამასთანავე იმათში ისე დავდიოდი როგორც ნაცნობებთან ეიარო და არ მამერიდნენ, ისე. ჰო ბალსაც ბევრსა ჰყიდდნენ, და ვეჩერი კი არ ვიცი რა არის.

სვიმონ. (იცინის] ხა! ხა! ხა!.

დამცინეთ არა უშავსრა, რა კი სიცილი გსურთ. აბა ახლა მოისმინეთ. რას ვაწბობდი. ჰო, რო დავიღალეთ სკამზედ დავსხედით მე და ივანე. ერთმა პატარა ბიჭმა გამოიარა და ხელში ერთი მოთლა ეჭირა; ივანემა ჰკითხა ეგ რა არისო, ან ფასი რა მიეციო. იმ ბიჭმა გვითხრა პივა არისო, ამის ფასი ორი შაურიაო. ის ველარა ვკითხეთ თუ პივა რა იყო. როგორც მოგეხსენება სოფლელის კაცისაგან, ჩვენ კარგი რამ გვეგონა. ივანე ღარ მამეშვა წამიყვანა და ტრახტინია რაღაც ჯანაბა შემიყვანა, ჯერ ჩაი გიახელით, მერე პივა მოატანინა ორი ბოთლა, ბატონო, ივანემ რო-

გორც კახური ღვინო ისე გადაჰკრა, რა მე დავლიე, ამერია გული და კინაღამ დედის ხსენი ამამაღებინა, კელში რო ტაქანი მეჭირა ძირს გადავაგდე. ერთიც ენახო ფშა-ტანი მოიღო. ჰა, ნუ იხიზლებო, კარგიაო, მაწონებდა. მაგ-რამ მე მაინც ამას ვეუბნებოდი, ამისთანა ლუდი ჩვენშიაც ბევრია მეთქი. მაინც და მაინც არ მაშეშვა ასე, რომ თითომ ორ ორი ბუთლიკა დავლიეთ, ნახევარ საათის შემდეგ მუცელი ისე გამებერა როგორც ორსულ დედაკაცსა. ამდროს ორღანო დაუკრეს, ამ ორღანოს ხმაზედ ყვითელი ბულბულები აჭიკ-ჭიკდნენ ყაფაზებში, აგრეთვე რაღაც ტოლი იდგა მწვანე მაუდ გადაკრული, იმაზედ იყო დამწკრივებული სამი რგვალი ბურთები, თავსა და ბოლოში წითლები ეწყო და შუაში კი ყვითელი. ორი თეთრი ბურთებიც ხელში ეჭირათ და სვამდნენ ხოლმე, და გრძელი სარით მიაჯახუნებდნენ. იმ ტოლში რომ ჩავარდებოდა ხოლმე ბევრი, დამთვლელი იტყოდა ხოლმე პარტია და სამ მანეთიანებს ჯიბეში იყრამდა! აი და-სწყევლოს ღმერთმა, რას არ მოიგონებენ. ბატონო, თუ კიდევ გახსოვს, პატარაობის დროს ხატი ორმოს რომ ვთამაშობდით, სწორედ ისე ჰქონდა იმ ტოლს ხუთი ამოღრუტნული.

სვიმონი იცინის. ხა! ხა! ხა!.,.. არა სტოლი კი არ არი, იმასა ჰქვია ბილიარდი და ექვსი ამოღრუტნული აქვს. და ის ბურ-თები კი არ არის, ისინია ძვლებისა და ჰქვიან შარები.

თედო. ოჰ მადლობ ღმერთსა რომ მალე გამოველით, თორემ თქუენი მტერი რო ეშარათ, ესა ჰქონდა იმათი თავი

ან ვინ გაგვამართლებდა. სვიმონი იცინის. ხა! ხა! ხა?..

მერე ბატონო შტაფის საათისაკენ ჩავიარეთ, მინამ მივახლოვდით მე კარგათ შემაქეიფიანა რაღაცა პივა დავლიე, ს ამჯერაც ამამაბოყინა ისე, რომ რაც ქარები იყო სულ ა მოიტანა მაღლა. ჰო იმას მოგახსენებდით: რა შტაფთან მივედით დავინახე, რომ ორ მუშას მაგათ გალესილი ჯინი მიჰქონდათ, რა მუშებმა ის ჯინი ჩუჩნკენ გამოატარეს. შევხედე აკოშკებში ვნახე, რომ ერთი მზედ უნახავი ქალი კი იჯდა შიგა მინამ ქარვასლაში შეიყვანეს, მანამ უცქეროდი და თანკი გაკვირვებული პირჯვარს ვიწერდი.

სვიმონი და აგრეთვე სხვანი იცინიან. ხა. ხა. ხა...

თედო. ის ჯინი კიარ ყოფილა, ისა ყოფილა ტრახტრევანდი და შიგ რომ ქალი მჯდარა, ისა ყოფილა აკტრიცა:

რაიცი ჯინსკი გამდა და! მაგათ შეღებილი იყო, და ისიც არ ვიცი, ტრახტრევანდი და ან აკტრიცა რა არის. რომ გენახათ ის ტრახტრევანდია თუ ბრახლევანტი, ისეთს ნაირათ მიარბევინებდნენ, რომ კაცი ვერ დეეწყოდა იმ კურტნიან მუშებს. მერე რაკი შემიყვარდა, ვიკითხე. თქუჩნი ბრძანების არ იყოს იმათაც ეგრე მითხრეს აკრიცა არისო. რა ბატონო, ივანეს მეშის ფულები აწუხებდა, და მე მემატყო, რომ შემიყვარდა იმ აკრიცის თრიატია რაღაც, ისიც მომინდომა, წავედით აკრიცა იმღერებსო. აბა რა, ვითომ რატომ არ წავიდოდი სხვის ფულით, თანახმა მგონი გაუხდებოდი. მივედით ორი ბილეთი ავიღეთ სამ აბაზათ, რა დავინახე რო სამი აბაზი

აილეს, მე ეს ძალიან მეჯავრა, უთხარი ივანეს ისევ უკან მიეცი მეთქი და მოგ სამი აბაზის ისევ პივა დაალიოთ მეთქი. ეჰ რას ამბობ? განა პივა იქ კი არ იქნებაო, მეც დავჩუმდი, აბა რაღა ძალა შემეძლო. მინამ კარებს გააღებდნენ მანამ იქ ვიდექით ჩვენც და მრავალი სხვანიცა. რა კარები გააღეს ბატონო, თითქოს მონადირემ თოფი ესროლა მტრედებსო, ისე ერთბამათ იჭრიალეს დაწუთზედ აფრინდნენ, ყველანი ავიდნენ და ჩვენცკი დავრჩით მეორე კიბესთან. ჩვენ ასე გვეგონა ვინმე კარის კაცი გამოვიდოდა და აგვი-წევდა.

ხალხი იცინიან ხა! ხა! ხა!

ის კიარა ასწრებაზე ყოფილა; რა ვიგრძნეთ, რომ არავინ შეგვიწევია, თავი გავიქნიეთ გამოვიქნიეთ, დავიწყეთ სიარული და ერთი საათის გამავლობაში ძლივს ავედით იმ კიბეებზე. რა ღმერთი შეგვეწია და ავედით კარებთან დაგვხვდა რუსი, რუსულათ გვითხრა, პაკაჟი ბილეთიო. მეც ასე მეგონა ბატონის ბილეთსა მთხოვს მეთქი, მეც ამის მეტი ვეღარა მოვახერხე რა და უთხარი: ბილეთი, ტამ, დერევნა შორსა. ამის თქმაზედ იმ რუსაც გაეცინა.

ხალხი იცინიან ხა! ხა! ხა!..

მერე იმ რუსმა ჩვენ რო ბილეთი გვქონდა იმისთანა გვაჩვენა ოტ ტაკოიო. მაშინ ივანე მიხვდა, ამოიღო მსწრაფლად და მისცა. რა შეგვიშვა, როდია, როდის ფიცრის გრძელ სკამზედ ისხდნენ ხალხნი, ჩვენც მივედით და სადაც

ცარიელი ალაგი იყო, იქ ჩავსხედით, თურმე ნუ იტყვი ის ალაგი სხჳსა ყოფილა, ვიღაც კაკარტიანი ჩინოვნიკი მოვიდა, და ორნივე კი წამოგვაყენა.

ხალხნი იცინიან ხა! ხა! ხა!..

მე ივანეს უთხარი, ისევ პივა დამელია ისა სჯობდა მეთქი. ივანემ მითხრა, რათაო, იმისათჳს, რომ ჩუენი საქმე ღვინის დალევაა და სახრე ხელში მეთქი. რაღაც აკრიცა არის, რომ გამოდის და ყვირის რა გვესმის მეთქი. გარდა ამისა, ფული რისთჳს მიეცი მეთქი თუ კი არც კი დაგვსამდნენ. ამ თქმაზედ იქ მყოფთ სიცილი დაიწყეს. მე ეს ძალიან ვიტკიცე, რომ ხამებათ შეგვნიშნეს. შემდეგ ამისა მინდოდა ივანე გამეყვანა იქიდგან და ისევ წავსულიყავით ჩუენს ტრახტირში. ერთმა პატიოსანმა კაცმა რა შეგუატყო, რომ ხამები ვიყავით, გვირჩიეს ისე ფეხზედ უნდა დადგეთო, როგორც სხუანი სდგანანო. და თუ ოთხი აბაზი მიგვეცათო, მაშინ აქ დასხდებოდითო; გადავველით ბატონო და იმ ქალებს მიმინოსავით თავზედ დავცქეროდით, რა დამშვდდით, ზარის წკარუნი შემოგუესმა, ჩუენ ასე გვეგონა, ცისკრები დარეკეს, ორივემ პირჯუარის წერა დავიწყეთ. ხალხმა კიდევ თუალი დაგვაცეცეს, ის არ ვიცოდით თუ ის წკარუნი რასა ნიშნამდა და რას არა. რა წკარუნი გათავდა, დახატული ფარდა თავისთავად აიხადა. ოჰ ღმერთო! რა გინდოდა თვალო და გულო, რომ იქ არა ნახამდი შემკობილებას! ამას-

თანავე რომ გამოვიდნენ რო გენახათ იმათი ტანისამოსი; სულ ოქრო და ვერცხლი იყო. მაშინათვე რაღაც ყვირილი დაიწყეს, მე იმათმა ყვირილმა ყურები გამიჭედა, ყურებში ბანბა დავიცე და იმათ ტანისამოსს ისე უყურებდი განუმორებლად

სვიმონ. გულში არ ინატრე, რომ ის ტანისამოსი შენი ყოფილიყო?

თედო. აი იმტენი ღვთის წყალობა თქვენცა გქონდეთ და მეცა რამტენი მე ვინატრე, მაგრამ ვინ მამცემდა მე უბედურს; ეს კიდევ არაფერი, მე რო იმ აკრიცის ცოდვით დავიწვი ნუღარ იტყვით.

სვიმონ. როგორ თუ ცოდვით, შესაცოდი რა ჰქონდა, ან რას ეძახოდნენ?

თედო. მგონი მე ისე მახსოვს, რომ ზორას ეძახოდნენ.

სვიმონ. ჰო, ჰო, ვიცი რასაც ანბობ. ისა ყოფილა კელმწიფის ქალი და ახალი ოპერა წარმოუდგენიათ, ჰო დაიწყე.

თედო. ჯერ ბევრი რაღაებიც იყვირეს სიყვარულზედ ქალმა და კაცმა. მერე ბოლოს დროს, იმ ქალისა არ ვიცი შეეტყოთ რამ თუ არა, ისე ვგრძნობდი ცეცხლში უნდა ჩეეწვათ. სამნი გამოვიდნენ სახელმწიფო ტანისამოსით, იმათში მგონი ორი მინისტერი იყვნენ და ერთი თვთ ქალის მამა ხელმწიფე. მე როგორც შევიტყე იმის ქალისა-

თვს ვილასაც უმტრია და დაუბეზღებია კელმწიფესთან: ისე რომ ვითომ კელმწიფის ქალი არ იყო და გარეშე პირი იყო. ორმა მინისტრებმაც გადასჭრეს სამართალი, რომ გახურებულ თონეში ჩაეწვათ. ეს გადაწყვეტილობა კელმწიფეს წარუდგინეს ხელის მოსაწერად; რა ბატონმა კელმწიფემ ხელი მოაწერა, უნდა ვენახათ ის ქალი როგორი ფერმიხდილი გამოათრიეს თმებ გაწეწილი, და მიიყვანეს კელმწიფის წინ. კელმწიფემ ის გადაწყვეტილობა წაუკითხა, რა დაასრულა, იმ ქალმა იგრძნო, რომ უნდა ჩაეწვათ: საბრალო ქალი ყვითლდებოდა, შავდებოდა და გული მისდიოდა, მუხლები მოეკვეთა ფეხზედ ეღარა სდგებოდა. ხან ვის ეხვეწებოდა, და ხან ვის მიმაშველეთო. არავინ არ უშველა, ამისათვის, რომ კელმწიფის რიდი ჰქონდათ. შემდეგ ამისა სტაცეს ხელები მკლავებში და ცოცხალ მკუდარი ძლივს აათრიეს იმ სიმაღლე კიბეზედ: საბრალო ქალი, ვითომ მძლავრობდა არ მისდევდა იმათ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ძალა აღმართსა ხნავს. რა ის ქალი აღარ გამოჩნდა, პოლი ერთბამათ გაიხსნა თონის ოდენა, და როგორც ელვა ისე ცეცხლის ალი ამოვარდა. მთელი ერთი საათი იმ თონიდგან ალი ამოდიოდა; მე ჩემის გონებით როგორც შევიტყე, ის ქალი იმ გახურებულ თონეში ჩასწვეს. მერე მგონია, კელმწიფეს უთხრეს შენი ქალი იყოო. კელმწიფე საშინლად შეწუხდა, თავში ბევრი წაიშინა, მაგრამ ეღარა უშველა რა. შემდეგ მწუხარებისაგან მასაც მუ-

ხლები მოეყევეთ და თვი კელმწიფეც პოლზედ დეეცა და გული წაუიდა. მსწრაფლ ყველანი იქ მომღერალნი მისცვინდნენ მოებრუნებინათ, ამ ჩოჩქოლში ფირდაც ჩამოეშუა. ახლა ბატონო ხალხის ყვირილი რომ გაგევგოთ, ამას იტყოდით ერთი მეორეთ მისელია არისო. ისე ქლიოდენ და ყვიროდნენ, ზოგი იძახოდა აი ბია, ზოგი პრიმადონას, ზოგი ზორას და ზოგი ფეხებით აბრაგუნებდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ისეთ ნაირათ აბრახუნებდნენ, რომ ჩვენნი ათ შოძიანი დარბაზი რო ყოფილიყო ცხრამეტს ალაგას ჩაიქცეოდა. მაგრამ ეს ბია რაღა ჯანაბაა, ეითომ ბია კომმსა გეეხარო, თუ! ბიას გაჭმევთო. მჯლოს, თუ კი ეგრე ბია ძვირათ იყიდება და შოვნა არ არის, ჩვენ რო ჩავეაქ ხოლმე ერთ გოდორში ექვს მაურს რათ იძლევიან ხოლმე. მეც დღის შემდეგ როცა ჩავიტან ქალაქში, ღარ გავეყიდი. ავიღებ ერთ გოდორს და აკრიცას გადაუყრი ტინტულაკიდგან; მაშინაც კიდევ იყვირებენ და მაშინაც არ დაჩუმდებიან ის ოჯახ ქორები.

სვიმონ. (იცინის) ხა! ხა! ხა!

არა ჩემო თედო, კომმს კიარ ეუბნებიან, ისინი ეუბნებიან ქებას, რაკი კარგათ ითამაშა.

თედო. საიდგან ითამაშა, რომ ხელიც არ გაუშლია, მე თამაშობა ესეთი გამიგონია, აბა ტაში დაუკარით როგორ შეითამაშო.

სვიმონ. არა, მაგას თამაშობას უწოდებენ განათლებული

ხალხი, და არა მართლა ლეკურის ჩამოელისა.

თედო· ჰო და ეგრე თქუათ ის არა სჯობიან, მინამ ეშმაკურ ლაპარაკსა!

სვიმონ· უჰ ეგ კარგი რამ განახამს, და მოსაწონიც არის ეგ ახალი ოპერა. მაგრამ შენ რო თქვი ჩუენში დარბაზი იმას დაადარო და არც შენი დარბაზის პლანზეა აშენებული; მეორეც ესა ისინი ისეთი ხალხნი არ არიან როგორც თქუენა, იქ მყოფთ რო არ მოსწონებოდათ ის თამაშობა ხმასაც არ ამოიღებდნენ· აქა სჩანს, რომ რა კი ნასწავლი ყოფილან, მოთამაშეც მოსწონებიათ და იმიტომ უთქუამთ ქება. თორემ რო არ მოსწონებოდათ, ისეთ რამეს ეტყოდნენ; რომ შერცხვენოდა მოთამაშეს და აღარ გამოსულიყო. გარდა ამისა, ჰა, ხო ნახე რაც წარმოუდგენიათ, ან თვისი ქალისათვის როგორი სატანჯველი მიუყენებია კელმწიფეს. აბა დღეის შემდეგ თქუენც ისეთ მართლ მსაჯველები უნდა იყოთ, და არა, ვინც თუნდა ღვინო მოგიტანოთ, და ერთი ქათამი ის გაამართლოთ· არა ძმაო, ქრთამს ნუ იღებთ თორემ ერთხელაც არის გატყვრება, ყოველს სოფელში ეს კარგათ იცოდეთ თუ კეთილ მობილი ხალხნი არიან თვით ისინი არიან . . . ჩემთა პირიდგან არ ამოსულა თქუენი დაბეზღება, და არც ვკადრებ რომ დაგაბეზღოთ, მაგრამ, თქუენცკი თქუენი სამართალი უნდა იცოდეთ ბეჯითად და ჭეშმარიტად. ამისათჳსა ხართ დაფიცებული, რომ არავის

არც ქრთამი გამოართვით, არც ნათესაობით მიუდგეთ და-
არც მოყრობით ერთის სიტყვით რომელიც მტყუანია, მას
მიაყენეთ კანონისა მებრ რისაც ღირსი იყოს, ამისათვს
რომ კვლავ აღარ ჩაიდინონ, და თქუენც საზოგადოებასთან
პირ ნათლად იყოთ, და არავინ აჩივლოთ.

ჰე მგონია, რომ კარგად ვიქცევი, და სხვისა არ ვიცი.
ჰო ვიცი, ვიცი როგორც კარგად იქცევი. ჰა ნუ მათქმევი-
ნებ, თორემ ვიტყვი და ამტენ ხალხში შეგარცხვენ.

პირის ღიმილით: ბატონო რას იტყვით ჩემზედ რაც არა
შეგიტყვიათრა.

ჰო, არა შემიტყვიარა! აი შენ თითონ იქამდინ მიმაღწევინე,
რომ უნდა ვსთქვა, აი მხოლოდ ერთ ვიტყვი შენს კაი კაცო-
ბას. სულ კარგი კაცი ხარ მაგრამ, ის რომელი კაცი იყო,
რომ გლეხმა გლეხის ცოლი მოიტაცა, ქალაში ჩაიყვანა
და. . . , . ისევ მოიყვანა.

არა ბატონო, კაცი დანაშაული არა ყოფილა, ქალმა
ტყვილათ მოუგონა_

ოჰ ღმერთო! თუ დანაშაული არ იყო, სამი დღე რათა
გყამდა დამწყდეული ის კაცი, და სამიდღის შემდეგ საკან-
ონო რათ გადაახთევინე, ჰო ვიცი იმისათვს არ იყო
დანაშაული, რომ შენ და სუდიეებმა სამის თუმნით ერთი ბარი-
ბური გაგონდათ. ჰეი ბიჭო, ბევრი რამ მესმის თქუენი
მაგრამ, სომხისა არ იყოს მახლას: მეკი ჩუმათა ვარ.

სიცილით და წამოჭეხებულის სახით, ტყვილათ უთქვამთ

ამისათჳს, რომ ჩემი თავი შეგძულონ რაკი მილეზული გყევართ.

კარგი, კარგი მართალი ხარ, წყალი ზეით მიდის, მაგრამ ერთხელაც იქმნება ის დრო, რომ ქვეით დაბრუნდეს, მაშინ შენის ძალით ველარ აბრუნებ. ეჰ კარგი კიდევ თქვი რამე, რომ ეს კეთილ მობილნი გავართოთ.

რავიცი, მეც თუ არა ვილაპარაკე რა, აღარა ვიცი რა.

მართალია მაგრამ კიდევ გეცოდინება. ჰო ნოტებზედ უკრამდნენ მუზიკას თუ არა!

განა იმათი ბატებიც ნასწავლნი არიან, რომ იმათ ბატებმაც დაუკრან მუზიკა?.

სვიმონი, აგრეთვე სხვანი იცინიან. ხა! ხა! ხა!

არა, ნოტებზედ დაკვრა ის არის, რომ გორში თუ გინახამს ლართუკის ქალებისაგან ფორტუპიანი დაკრული, ზედ რო ნაწერი ქაღალდი ძევს იმასა ჰქვიან ნოტები.

ფორტუპიანი რა არის არ მესმის. უფრო მეზავებული ოტკაა, თუ კახური ღვინოა?

ჰო, შენ მაინც მარად ჭამს დალევაზედ გიჭყეტია თვალები, რაკი ზუადლემაც მოატანა იმისათჳს უფრო მოგაგონდა დალევა.

ბატონო სწორეთ მითხარით, მაშ რა არის?

მამ არ გინახავს, ლართუკის ქალებს ზალაში სტოლივით რო უდგიათ, და სამი ფეხი აქვს. იმ სტოლზედ ფრანციზული ნაწერი რო ძევს ზედა და იმათი უკრამენ.

შე დალოცვილო ეგრე ქრისტიანულათ მითხრა; ის არა სჯობიან; მინამ ორტუპიანისა და ფრანციზულის თქმასა. თქუენ გ მოიღანეთ ლოქით ღვინო, თან მოადევნეთ საუზმე; ღვინის დასასხმელი, ან კათხა, ან ყანწი და ან ტაქანი. მაშინა მკითხეთ ეგ რა არის თქო, მგონია მაშინ გითხრათ რაც იქნება, ან როგორც შემერგება. აბა თქუენ დალოცვილო, რა ვიცი ბოტები, და ან კიდევ ორტოპიაპი.

სვიმონ. ჰო მაგ ზედკი გამარჯვებული ხარ. სიტყვა ის არის, რამ იცოდე· თუ საქმე მაგაზედ ჩამოვარდება, ღვინის სმა თითქმის ყველამ იციან ქართუელმა ხალხმა. მე მხოლოდ იმას გეუბნები, სამ ფეხიან სტოლზედ დაწერილი ქაღალდი არ დაგინახავს?

თედო. ჰო, ჰო, ეხლა კი მივხვდი, მინახავს რიღაც ეშმაკური ნაწერია, მე სწორეთ უბრალო ნაჯღაბი მეგონა; ამისათჳს რომ სწორეთ თაგვების ნავალის გავდა.

სვიმონ. ჰო, შენ კი უფრო უკეთესად მესთხუზამ, მაგრამ შენ ის მითხარი ეხლა ხომ მიხვდი?

თედო· როგორ არა მივხვდი, ქალაქიდგან, რომ ამოვიარე, რაღამაც ფიქრმა იქითკენ გამიტაცა ბატონო, რა იმ სახლთან მივახლოვდი, ერთიც ვნახო რაღამაც წკარუნი მოიღო, რა მივუახლოვდი თან და თან ასეთი ხმები შემომესმა რომ ამას იტყოდით ანგელოზები მღერიანო. კარგა ხანი იმ აკომპასთან ვიჯექი და ყურს ვუგდებდი. თურმე ნუ იტყვით ნანის მზგავსად შემსმენია, წავსულვარ ფიქრში და

ჩქეე კი დამძინებია, სალამოს შვიდი საათიდგან მინამ მეორე დილამდინა, რა დილით გავაჭყიტე თვალები, ის ღვთის პირისაგან დალოცვილი კიდევ უკრამდა. მაშინ დავიწერე პირს ჯვარი და დალონებული . . . წავედი ჩემს ბინა-ზედ. ბარემ იქიდგან მოშორება არ მინდოდა როგორც ტრიატისა, მაგრამ საქმეები.. ცოტა გადაკრულიც ხომ არ იყავი, რომ იქ დაგეძინა?

არა ბატონო მერწმუნე სვეტი ცხოველსა ვფიცამ,, მაგრამ ერთითკი მადლობელი ვარ ღვთისაგან.

სვიმონ. მარად ჟამს მადლობელი უნდა ვიყოთ ღმრთისა, მაგრამ შენ როგორი მადლობელი ხარ?

მე ბატონო აი როგორი: მერე მე რო დამძინებოდა და ჩემს ბინაზედ წავსულიყავი, ზარალი მომეკემოდა. ხო მოგეხსენებათ ბატონებო, ჩვენი ქართველი რაკი შეყრილი ვიყავით, უცხო ალაგას თუ არ დავმთვრალიყავით არ შეიძლებოდა. ასე რო ორმანთეს წინ ვიყავი ამ წაუსვლე-ლობით. ეს დანარჩენი ორი მანეთი მგონი კარგი იყო. როგორც ადამი და ევა ყოფილან სამოთხეში, მანამ ყოფილან სიმხიარულით უცხოვრიათ, ესე მე მეტი რაღა სიმხია-რულე მინდოდა და ან განცხრომა: ის ღვთის პირისაგან დალოცვილი ორტუპიანს უკრამდა, და მე განსვენებაში ვიყავი და ნანასავით მესმოდა. ტრიატში ექვს ექვსი მაური წაგვართვეს, მაგრამ იმ დალოცვილმა ერთი გრომიც არა მთხოვა.

ბატონო! ფულს თუ ხელი არ აუკარით, ისეთ ნაირათ გაფრინდება, როგორც ინდიის წერომ ერთს მინუტში ათასი ფთა გადიარონ და ვერ დაეინახოთ ისე, აი სომეხი რა უჭკუოთ იჭერს საქმეს რო ანგარიშითა წარმოებენ. მგონი ჩუენა და სომხებს ერთი ანგარიში არა გვქონდეს. ძალიან კარგათ სჩადიან, რომ ანგარიშით ყიდულობენ, ანგარიშით ჰყიდიან, და ანგარიშით ფულებს აწარმოებენ. ეაი ზოგიერთი ქართუელი სოფლელი კაცის ბრალი, რომ რაც უნდა ანგარიში ვიცოდეთ, არაოდეს არც ანგარიშით მიეცემთ ფულებსა და არც ანგარიშით ვართმევთ, მაგრამ ეს რა წამომცდა, უკაცრავათ ბატონებო არ მიწყინოთ ამ ნათქვამზედ! ჰო იმას მოგახსენებდით, ეს რაც მოგახსენეთ წინანდელი და არა ახლანდელი, ეხლა კი თქუენცა გრძნობთ სხვანაირ შემთხვევას და იმიტომ უფთხილდებით. ეჰ ესევ თქუენ ხელში ყოფნა გვერჩივნა მინამ ეხლა ამისათჳს, რომ წინათ როგორც ფულებს შეგვაწერამდით, ისე კიდეც გვასიამონებდით· მეორეც ესა, ქორწილი რო გვქონოდა, ან ხუთი დღის მიწას გვაჩუქებდით, ან ვენახს და ან ულელ ხარსა, და ძროხას. მაგრამ, ეხლა რო გელაპარაკებით აღარა გვკადრულობთ, და თქუენ თითონ ერთათა ქეიფობთ და ტრიატშიაც დაბძანდებით. აბა რა, რაღათ გვიკადრებთ ზოგნი ერთნი. ეჰ ვმადლობ ღმერთსა რაც არის მაგრამ, თქუენ რომ მიბძანეთ სამი მანეთი. ოხ, რასა ბძანებ არამც თუ სამ მანეთს, ჩემ თავსაც კი მას ვანაცვალებდი· ოჰ ბატონო! ის ქალი რო იჯდა და ორტოპიანს უკრამდა, უნდა

გენახათ რა იყო. ერთი სიტყვით, ჩემი ენა იმის ქებას ვერ იტყვის, თვით იყო წამოსადეგი.

რაც უნდა გული გამქანებოდა იმისაკენ, მე ვინ, ის ვინ, საიდგან სადა, წმინდა საბა! აბა მიბრძანეთ ამისთანა ქალი ვის არ მოეწონება, ვის არ დაათრობს მისი ნაზი ქცევა, მეც უცებ იმისათჳს ამოუშვი ხვრინვა, რომ შეხედვა ვეღარ შევძელი, და ფიქრებში ჩამძინებოდა.

ყველანი იცინიან, ტაშს უკრამენ, აქებენ: ყოჩაღ, ბარაქალა. თქვე არ მემცივდა, მაგრამ ახლანდელმა ლაპარაკმა კი შემაცივნა, ერთი წითელი ჯამით ღვინო მასვით, თორემ ყელი ამომეხრანწა. ჰო ეს ჯერ ერთი ჯამი ვისუნთქე, და კი არ გადღეგრძელეთ, ამისათჳს, რომ ეს ჯერ კეთილი ანგელოზების სადღეგრძელო გიახელით: ჰო იმას მკითხამღით არ შეგცივდაო? განა ჩუენც თქუენსავითა ვართ გაზრდილები, რომ შეგვცივდეს, ჩავწვეთ ლოგინშია და ჩაი ეხვრიტოთ. არა მაგითი კი ვართ მადლობელი ღვთისა ის სიმაგრე კი მოუცია ღმერთს ჩუენთჳს. თქუენ რა ცოტათი რამ წამოგტკივდებათ ოცნაირის საჭმლით გიწყობენ ხელსა. მაგრამ ჩუენ კი ხანდახან ჭადის ნახორხალიც გვენატრება ხოლმე, თქუენთან დასაკვეხი არა გვაქუს რა, მხოლოდ ჯანის მეტი.

სვიმონ. მაგითი კი ბედნიერები ხართ, მაგასთან სხვა რამ ბედნიერებაც რომ გქონდეთ, აჰა, აბა ახლაც დამემდურები ღვინოზედ! ჰა დალიე, თორემ მამა არ წამიწყდება, თუ არ გამოცალე, მაგ დოქს შიგ კისერში ჩაგასხამ და შიგ

გალილიეებ.

ბატონო, რას მემართლებით კისერში ჩასხმას ისემ პირში ჩავისხა ის არა სჯობიან, იმოდენა გზა გამამიელია ღვინო არ სად მისვამს ძალიან, ყელი ამოხრანწული მაქჳს. პირში რო ჩავისხა ჯანსა და ღონეს მაინც მიემატება, კისერში რო ჩამასხა, არც ჯანს მიემატება და უბრალოთაც ადგილზედ დაიქცევა ამისთანა ზედაში.

ჰა, მაშ გამოცალე რო კიდევ მოგიტაინო.

არა ბატონო, არა, არც ეგრე უნდა გამამიმეტოთ რომ ფეხების თრევით. შინამდინ ვერ მივიდე.

სვიმონ. კარგი, კარგი გიცნობთ გლეხები რაცა ხართ, რომ არ დაგათრო და ისე გაგზავნო, რამწვავ შინ მიხვალ, მაშინათვე იმას იტყვი სვიმონ ბატონმა დამპატიჟა და ღვინო კი არ მასვა წესიერათაო. ეგ ჩემთჳს ძალიან სირცხვილია, ღვთის მოწყალებითარც ღვინო მაკლია, და არც პური. ჭამე, სვი რამდენიც გსურდეს, და ისე წადი. ჰა სვი, იცი ჩვიდმეტ კოკიანი მაქჳს მოხდილი, იმედი მაქჳს შენისთანა ორმოცი გაისტუმროს და ძირა არ შეეტყოს.

თედო. ღმერთმან მოაკლოს თქვენს ოჯახს მომატება.

სვიმონ. ბიჭო. ეგ რა მითხარი. განა მადლობის მაგიერად, მაგ გვარად უნდა დამწყევლო?

თედო. ოჰ უკაცრავათ, უკაცრავათ თქვენი ჭირიმე, სულ ღვინის ბრალი გახლავსთ. უნდა მეთქვა ნუ მოაკლოს და მე კი სხვა ნაირათ წამამცდენია. ეს ესე მაგრამ, ერთი ასო რო შემემალოს ხოლმე არ უნდა მითხრათ, ამისათჳსა

მე ჯერ ღრამატიკა არ მისწავლია, აკი მოგახსენე მთვრალი ვარ მეთქი. და თქუენ კი არ გჯეროდათ.

სვიმონ, განა მერო გაქვს დარბაზი, განა მე კი არა მაქვს თუ დაითრობი, იმოდენა დარბააში ლოგინს გაგიშლის ბიჭი, დაწექი და ხვალ შუადღემდინ იგორავე. მაინც უქმეა სხვას რას გააკეთებ.

თედო. განა კი რა უნდა გავაკეთო,

მართალს ანბობ, დაარცა სტყუი. მაგრამ მინიმ ამ დოქსაც არ გამოსცლი არ მოგეშვები. და გამოცლის შემდეგ ერთი კიდევა სთქვი ტრიატის წარმოდგენა, და მამინ სადაც გინ-და. . . .

თედო. ჰო ბატონო რა ბეეწყობა. უარი რო გითხრათ ვიცი თქუენი ხასიათი, თქუენსა აღარ გამატარებთ. მამა სადამე, სჯობიან ისევ თქუენ არ გაწყეინოთ, და მე კი მოსვლის დროს აქ ვისიამოვნო ხოლმე. მიბოძეთ არა უშავს-რა, მოკლას ზარი თიევმა, ხალხნო ჯამაათნო, სმენა იყოს და გაგონება. ღმერთმან განაძლიეროს დიდებული კელწიფე ჩუენი იმპერატორი, დაუმორჩილოს ფერხთა ქუეშე მტერნი და ბრძოლნი—ეს ჩუენი მწყალობელი ბატონიც ღმერთმან განაძლიეროს, აღორძინდეს და გამრავლდეს. ღმერთმან სიხარულით ამყოფოს ვისაც შეჰხარის და ღმერთმან გაახაროს თჳს ახლად დანიშნულ ვარდზედ ოჰ კნიაზებო! ჯვარს რო დაიწერს, იცით როგორ გავმხიარულდები, და როგორ ვითამაშებ, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ სულ ციკვას დაუვლი. აი ესე, აბა დაუკარით ტაში, ერთი ეხლავე ვი-

ვითამაშო, რომ მოგეწონოს. (ხალხი ერთბაშად) კარგი ვიცით კარგი თამაშობა იცი, მაგრამ შენი თამაშობა ჩვენთვის საჭირო არ იქნება, ტყუილათ ეხლა ნუ დაიღალები, საპრაზნიყოთ გიმოგადგება. ალავერდი ლვინოს ნუ სთქვერი, თე ლევ დალიე და მამინ ილაპარაკე.

თედო: არა ბატონებო ალავერდი კი არ დავთქვერი, და გეამმი კი ჩ·ვთქვერი. მაშ ისევ ალავერდი ჩემო ხახავ! აი, აჰა ესე გამოგვცალოთ მტერი და ბრძოლი! როგორც ეს არის ცარიელი. ჰე! ვიწაფე თუ არა, მგონი ჯავრი კი არ ჩამყვეწა ლვინისა: [ხალხი] გმადლობთ, რომ ჩვენი თხოვნა ძირს არ დაუშვი. მაგრამ ეხლა რაც სვიმონმა გითხრა, იმაზედაც არ დაგვზარდე. ტრიატისა კიდევ გეცოდინება, და თქვი რამე, რომ ვიცინოთ.

თედო: ეიბე! ერთი თქვენც რომ სთქვათ განა მე კი არ გამეცინება,

ხალხნი. არა ისევ შენ, თორემ, ჩვენ არა ვიცითრა, ამისათვის, რომ აგერ ორმა წელიწადმა მოატანა რაც ქალაქში არა ვყოფილვარ. და რა გვეცოდინება სათქმელი:

რა მამასახლისი ისე დაათვრეს უნდოდათ, რომ სიმთვრალით რამ წამოეროხნა და მაზედ ეცინათ,

თედო. რათა ბატონებო, ეგრე ძალიან რათ დაგივიწყნიათ, რომ აღარ წასულხარ. ჰა, რიყის კენჭები ხომ არ შემოგაკლდათ, და იმისთვის, მაგრამ როცა ბატონყმობა იყო, მაშინ მხიარულათ დაფრინამდით ფარმავანგივით და ათას ფერად ყვავდნბდით, და ეხლა კი რო დადიხართ თითქოს

რაღასაც ფიქრობთ.

თედო. წინანდელი სჯობდა, და რაღა გითხრათ ისეთი, რომ კიდეც იცინოთ. ააშ კარგი და ერთსაც მოგახსენებთ თუ მოგეწონებათ.

ბატონებო! თუ ჩვენ სიხამეზედ იცინეთ, ღვთის მადლით, ჩვენზედ ხამები სამი სხვანი ენახეთ მე და ივანემ, ჩვენზედ უფრო ხამები სამი იმერელი ფაფანაკიანები ჩამოსულიყვნენ· იმათაც ჩვენსავით უსეირნიათ· აკი ბატონო იმათაც არ დაუნახამთ, წეღან რო მოგახსენეთ ჯინში მჯდომი, აკრიცის სიმშვენიერით ერთს გული წასვლია იქავე. თურმე აკრიცის სიყვარულით იმათაც ბილეთი აუღიათ და ისინიც იქ უნდა ამოსულიყვნენ. თურმე ნუ იტყვი იმათი ამხანაგი ერთი გარეთ დარჩენილა და ორნი კი ქვეით შესულიყვნენ, სადაც დიდი კაცები სხედან. რომელიც გარეთ დარჩენილა ის კი იქ ამოსულიყო სადაც ჩვენ ვიყავით, თურმე ეს ერთი იმერელი იმათ ეძებდა, და ის ორნიევე ამას, ბატონო რა ფარდა აიხადა, ის ჯინში მჯდომი აკრიცა მარიშურით გამოვიდა, რასაკვრელი რაღაც ენაზედ გალობა დაიწყო. რა ჩვენ გადაეიხედეთ, ის იმერლები დავინახეთ. რომ გენახათ! როგორც ცეტები, ისეთ ნაირათ ტრიალებდნენ და აქეთ იქეთ ცეტივით იყურებოდნენ· ეს ტრიალი მგონი იმასა ნიშნავდა, რომ ამხანაგი ეპოენათ რა ბატონო იმ ორმა იმერელმა თავისი ამხანაგი დაინახეს, შეჰქნეს საშინელი ყვირილი. ისინი მაღლა ამოჰკიოდნენ ამხანაგსა და ის კიდევ ქვეით ჩასძახოდა. ბიჭუნა სადანა აკუნტე-

ბულხარ, რო ჩამოვარდე ხო გასკდები კვახიევით.

აქანა უნდა ამოსულიყავით, ქვეშკნელში რავა ჩასულხრთ.
რატომ წელანვე არ გვითხარი შეკაცო? აბ სადანა ამოვი-
დეთ გვასწავლე თუ ღოროთუმე გწამს.

აჰ რავა არმწამს ღოროთუმე. აი აქეთ, უკანიდგან მო-
იარეთ დი ისთე ამოდით აქანასა. ბატონებო. ასეთ ნაირათა,
ყვიროდნენ, რომ აკრიცის სმა სულებით აღარ ისმოდა
ხალხმა აკრიცის ყურებას თავი დაანებეს და იმ იმერლებზედ
იცინოდნენ. მაგრამ კიდევ ყვიროდნენ. აი შეკაცო, ასთე უკა-
ნიდგან მოუარეთ და ამოჰყვალით აქანასო-
ბატონებო. ამ უბედურებას აღარც უკანიდგან ამოსვლა დას-
ცალდათ და აღარც წინიდგან. გაგულისებული ერთი აფიცარი
გამოვიდა, მგონი კრაც ატუტანტი იყო, უბრძანა პოლიციას,
კვარტალსა, და სამივეკი პოლიცაში წაიყვანეს ოთხმა რუ-
სებმა შებოჭვილები. თითქმის თერთმეტი დღე დაჭერილნი
იყვნენ. რა გამოუშვათჩუცნ შეგვეფეთნენ, დაგვპატიჟეს, რაცა
ენახეთ, ვნახეთ ვნახეთ. დარაც არა მათ გვიანბეს. კარკათ
ლვინით დაგვათრეს მე და ავანე და ისე გამოგვისტუმრეს.

სვიმონის სახლში მყოფნი, განცვიფრებული ტაშს უკ-
რამდნენ და ბრავალს ყვიროდნენ, რა მამასახლისმა ის
დაასრულა.

სვიმონ. მამასახლისო ყველას კარგათ ლაპარაკობ, სუ-
ყველა კარგათ დაგისწავლია. და იმათი სახელები კი ვერა, ეგ
როგორია. ატუტანტის მაგიერად ატუატს იძახი. აკტრიცის
მაგივრად, აკრიცას ამბობ. სტოლის მაგიერად, ტოლს ამბობ

და აგრეთვე ესტაქნის მაგივრად ტაქანს ანბობ, ეგ როგორიღაა რომ თითო ასოს აკლებ. მამ როგორც გატყობთ, ტანციობასაც ტანციის იტყვი ისე რომ მარად თითო ასოს დააკლებ და მაშინ გამოვა შენებურათ.

თედო. ეჰ დალოცვილებო, ეხლავე გინდათ, რომ კარგათ ვილაპარაკო თქვენსავით. არა ჯერ ერთის მოსვლით ვერას მივხვდი თქვენთან. ამასთანავე ჯერ პატარა ვარ, როცა გავიზრდები და ტრიატში ვიელი. მაშინ ვისწავლი, და უკეთესად მაშინ გიანბობთ მათ მოთხრობას.

არა, ბარაქალა მამასახლისო, რომ მაკტენი მოთხრობა დაგიხსომენია, და ჩვენ გვასიამოვნე. მართალს ანბობ. თუმცა წვერი გამოგთეთრებია, მაგრამ; ამისთანა შემთხვევებში კი პატარა ხარ და არა იცირა. მაგრამ ჩვენ კი ძალიან მადლობელი ვართ, რომ გაგვართე.

თედო. არაფერს კნიაზებო, ღმერთმან თქვენი თავი დიდხან მიცოცხლოს ეხლა კი წავიდე, თორემ დამიღამდება. უჰ აკი, დაღამებულა ე ე ბიჭო, ეჰ რაგვეწყობა რო არ წავიდე არ იქნება ბატონებო. ბოდიშსმოვიხდი თურამე გაწყინეთ, და წინა ალდეგი ვთქვი რამე,

ხალხნი მშვიდობით, მხოლოდ ფრთხილად იარე, არსად დეეცე.

თედო. მე ეგ თქმა, სხვა ნაირათ გავიგე. ვითომ კულავ რო ვილპარაკო არა წამოროხორა არც ბატონო, თუ ეხლა მოგვეწონებათ როგორმე, კვლავ ვეცდები უკეთ ვილაპარაკო და გაცინოთ, მხოლოდ პირველად მეჭირს ამ თეთრ წყალში გაჭყუპა. რქ კი დაუცინლად გავალ სიმშვიდობის. კვლავ ასურვებთ! უთუოთ ვეცდები გასიამოვნოთ!

კონსტანტინე ბერძენოვი.

**1 8 6 9 წლის**

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ, გაგზავნით თუ გაუგზავნელად 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს რედაქციას, ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქციაში ტფილისს.

---

**дозволено цензурою.** мая 15. 1869. რედ. ი. კერესელიძე.